



საკოლიტიკო, სავაქცინიარო და სალიბერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირადღეს.

№ 29

ი ვ ლ ი ს ი 18 1899 წ.

№ 29

შინაარსი: ხალხის გულის მესაიდუმლე (თხზულებანი ე ნინოშვილისა) (გ. გომართელისა. — სხვა და სხვა ამბები. — „გვალის“ კორესპონდენციები. — პარლამენტი და ქება, წერილი ბელგი-დან ლ. დ. — ს. — \* ლექსი დ. თომაშვილისა. — ევროპის ძველი და ახალი მეურნეობა ფ. პატრიშვილისა. — ბიბლიოგრაფია (თხზულება ვეპტ. გაბაშვილისა) გ. წ — ძი. — მცირე შენიშვნა ზ. ჩიჩუასი — და ქეთ სათავად-აზნაურო ბანკის განცხადება.

რედაქციის ადრესი: არტილერეის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა:

ხალხის გულის მესაიდუმლე.

(თხზულებები ეგ. ნინოშვილისა.)

Иныхъ времянь, иныхъ картинъ  
Провижу я начало. ნეკრასოვი.


I

მეცა მთელი სიტყვიერება გამოურკვეველი საგანია და მეცნიერების სახელს, ვინ იცის, რამდენი ხანი უნდა ელოდებოდეს, მაგრამ სიტყვიერების ერთი ნაწილი — კრიტიკა, თითქმის ყველა დანარჩენ ნაწილს უკან ჩამორჩა. ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე საზოგადოებაში შეხედვებით ისეთ კრიტიკოსებს, რომლებიც სრულიად სხვა და სხვა საზომს ხმარობენ სიტყვა-

კაზმულ ლიტერატურის სარკვევათ; კრიტიკოს მიზანი თითოეულს სხვა და სხვანაირათა აქვს დასახული. უტხოვ ენებზე ბევრია ასეთი სათაურის წიგნები: „საფუძვლები ლიტერატურული კრიტიკისა“, „მეცნიერული კრიტიკისა“ და სხვა, მარა ყოველ ავტორს ეს საფუძვლები თავსებურათ ესმის; ზოგი მათგანი ამტკიცებს: კრიტიკა რამდენიმე გეგმია — ესტეტიური, ფსიხიოლოგიური, სოციოლოგიური და სხვა. კრიტიკის საფუძვლების შესახებ ასეთი აზრთა სხვა და სხვაობა, მისი გვარებათ დაყოფა აშკარათ ამტკიცებს მის გამოურკვეველობას. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ყოველგვარი ცოდნის მიზანს მეცნიერული ნიადაგის მოპოვება უნდა შეადგენდეს, ცხადი იქნება, რომ ბევრი დრო გაივლის, სანამ კრიტიკა მეცნიერებათ გახდებოდეს\*). ამგვარ მდგომარეობაში ყოველი კრიტიკოსი იძულებულია, თავის კვლევას რაიმე მოსაზრება დაუდვას ხოლომე სარჩულათ; უამისოთ მისი შრომა უსისტემო იქნება, მისი

\* შესანიშნავმა ტენმა შექმნა მეცნიერული სისტემა კრიტიკისა, მაკა მას შემდეგ მის მიერ დაწესებული გზით აღსავის უკლია.





ანალიზი შემთხვევითი ნიშნებზე დამყარებული. ამიტომ სანამ ე. ნინოშვილის თხზულებათა გარჩევას შეეუდგებოდეთ, საჭიროთ დაინახეთ ზოგიერთი მოსაზრების წინ წამძღვანება.

ლიტერატურული კრიტიკის მიზანია, ახსნას სახატერო ნაწარმოები და აღნიშნოს მისი ღირსებანაკლულეფანება. ქვეყნიერობაზე შემთხვევითი არაფერია; ყოველგვარ მოვლენას თავისი მიზეზი და თავისივე შედეგი აქვს. დეტერმინიზმმა სრული ალადი დაიკავა ბუნების მეტყველებაში და დიდინანია შეანგრია საზოგადოებრივ-ზნეობრივი მეცნიერების იდეალური კედელი; საზოგადოებრივი ცხოვრების მკვლევარნი თანდათან რწმუნდებან, რომ აქაც სრული დეტერმინიზმი არსებობს. სიტყვა კაზმული ლიტერატურაც დეტერმინიზმს ექვემდებარება; არც ერთი ხელოვნური ნაწარმოები, რა დაბალი ან მაღალი ღირსებისაც უნდა იყოს, შემთხვევითა არ არის; მას თავისი საკუთარი მიზეზები აქვს. ამ მიზეზების შეგნება და გამორკვევა კრიტიკის უპირველეს საჭიროებას შეადგენს: უამისოთ ხელოვნური ნაწარმოების დათასება მტკიცე საფუძველს მოკლებული იქნება.

ყოველგვარ იდეას, ყოველგვარ აზროვნებას, რა განყენებულიც უნდა იგოს ის, სარჩულათ უდევს ნახატი<sup>1)</sup> ე. ი. გონებაში აღბეჭდილი სახე ჩვენ გარეშე არსებული საგნების და შემთხვევებისა. ნახატების სხვა და სხვანაირათ შეერთება კი ჰბადავს ადამიანის მთელ აზროვნებას. როგორ ჩნდება ნახატი ჩვენ გონებაში? გარეშე ბუნება მოქმედებს ჩვენ ხუთი გრძნობის ორგანოებზე; ეს ორგანოები ნერვების შემწეობით გადასცემენ სხვა და სხვა შთაბეჭდილებას თავის ტვინის უჯრედებს (თვალები—მხედველობის შთაბეჭდილებას, ყურები—სმენელობის, ენა—გემოვნების და სხვ.); თავის ტვინის უჯრედები ირჩენენ ამ სხვა და სხვა გვარ შთაბეჭდილებას და შემდეგ მათი განმეორება, ხელ ახლათ გამოწვევა შეუძლიათ. მაგალითათ, თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ რომელიმე მსახიობი, რომელიც წინეთ გინახავთ, აღიდგინოთ გონებაში მისი სიმღერა, ლაპარაკი. ამგვართ წარმოდგება ჩვენ გონებაში ნახატი; მაშასადამე აზროვნობის წარმოშობი მხოლოთ ტვინის უჯრედებია, სხვა არაფერი. ფსიხიოლოგიაში მატერიალიზმი გამეფდა და აქა იქ თუ დარჩენილან უკიდურესი სპირიტუალისტები, ისინიც ნელ-ნელა თვითონვე აღიარებენ თავის დამარცხებას.<sup>2)</sup> რადგან


ნაც ჩვენ სულიერ მოქმედებას სარჩულათ უდევს ნახატი, ნახატი კი იბადება თავის ტვინის უჯრედებში გარეშე ცხოვრების ზეგავლენით, ქედან ცხადია რომ ჩვენი ყოველგვარი აზროვნება და მაშასადამე მწერლის ნიჭის ნაყოფიერ დამოკიდებულია ერთის მხრივ გარეშე ცხოვრებაზე, მეორეს მხრივ ტვინის აგებულებაზე, მისი უჯრედების თვისებაზე. გარეშე ცხოვრება ან სოციალური პირობები მწერლის ნიჭზე მოქმედებს ან პირდაპირ, ან შორეულის გზით: პირველ შემთხვევაში ის მასალას აძლევს მწერალს, მეორე შემთხვევაში ავითარებს მის მსოფლიო შეხედულებას, მის სულიერ წყობილებას თავისებურ ბეჭედს ასეამს, აღვიებს მასში სხვა და სხვა სიმპათიას და ანტიპათიას და ამით ჰბადავს მწერლის ნიჭის განსაზღვრულ მიმართულებას, მის ხასიათს. ორსავე შემთხვევაში ხელოვნური ფსიხიოლოგია გამოიხატეფი იქნება საზოგადოებრივი ფსიხიოლოგია. ყოველი საზოგადოება შედგება სხვა და სხვა ან იურიდიული ან სოციალური კლასებისაგან; ამიტომ ყოველი მწერლის მოღვაწეობას ამ კლასის ბეჭედი აზის, რომლის გავლენის ქვეშაც გაფურჩქენილა მისი გონებრივი და ზნეობრივი მხარე. „მეშა, რომელიც კარტოფილს ყიდულობს და ქალი რომელიც არშიებს ყიდულობს, ორივე თავისი აზრით ხელმძღვანელობს: მარა მათი აზრთა სხვა და სხვაობა დამოკიდებულია მათი საზოგადოებრივი მდგომარეობის სხვა და სხვაობაზე, ეს უკანასკნელი კი ნაყოფია სოციალური ორგანიზაციის“,—ამბობს მარქსი თავის წერილში პრუდონის წინააღმდეგ. ამის საუცხოვო მაგალითს წარმოადგენს ჩვენი ლიტერატურის პატრიოტული რომანტიზმი, რომელიც, სრული ნაყოფია თავდაზნაურობის (უმთავრესათ პირველის) კლასიური ინტერესებისა; სამშობლოს სიყვარული კი მხოლოთ უბრალო ფარია.

სულიერი მოქმედების მიზეზათ მართო თავის ტვინის უჯრედების (და არა რაიმე არა მატერიალური სუბსტანციის) აღიარებას ჩვენთვის შემდეგი მნიშვნელობა აქვს: თუ დავამტკიცეთ, რომ თავის ტვინის ამა თუ იმ თვისებაში მემკვიდრეობას დიდი წილი უდევს, მაშინ ცხიც ცხადი იქნება, რომ მწერლის ფსიხიკაზე და მაშასადამე მის ნაწარმოებზე მემკვიდრეობას გავლენა აქვს; უამისოთ კი სულიერ თვისებათა მემკვიდრეობასთან დაკავშირება ძნელია. რა არის მემკვიდრეობა? როდესაც წინაპრების თვისებანი გარდაეცემა შთამომავლობას, ამ გარემოებას ეწოდება მემკვიდრეობა. მემკვიდრეობის ასახსნელათ ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან რამდენიმე ჰიპოტეზა

ერთგვარი ენერჯია არისო, და ამით გზა დაუდგარა მატერიალიზმს ფსიხიოლოგიაში.

1) როდესაც ჩვენ თვალ დახუჭული წარმოვიდგინოთ შოკრეულ შიჩებს და სხ. ეს არის ნახატი—გონებრივი.

2) ამ ორიოდვე წლის წინეთ მოსკოვის პროფესორმა სპირიტუალისტმა გროტმა სჯავართ გამოაცხადა: სული



განდა: დარეინის, ჰეკელის, ნეგელის და ვეისამანის. უმაღლეს საფეხურზე მდგომ ცხოველებს აქვთ სასქესო ჯირყელები; ამ ჯირყელებში მზადდება სასქესო უჯრედები; კვერცხი - დედალი არსების სასქესო უჯრედი და სპერმატოზოიდი - მამალი არსების სასქესო უჯრედი; ამ ორი უჯრედის, კვერცხისა და სპერმატოზოიდის, შეერთებით ჩნდებიან ყველა უმაღლესი ცხოველები. აქედან აშკარაა, რომ მემკვიდრეობის საიდუმლოებაც ამ სასქესო უჯრედებში უნდა იყოს დამალული.

მთელი ტანი აშენებულია პატარაპატარა უჯრედებიდან; დარეინის ჰიპოტეზით ტანის ყველა უჯრედებს ცილდება პატარა ნაწილები, ამ ნაწილებიდან კეთდება სასქესო უჯრედები, სასქესო უჯრედებიდან კი ცხოველები: მაშასადამე ცხოველებს უსათუოთ უნდა გადაეცეს დედამის აგებულობის თვისებანი. ამგვარათ დარეინის ჰიპოტეზა მემკვიდრეობას ადვილათ ხსნის, მაგრამ არც ერთი ანატომიური ფაქტი მას არ ამართლებს. არაფის არ დაუმტკიცებია, რომ სასქესო უჯრედები ისე მზადდებოდნენ, როგორც დარეინს ჰგონია; ამიტომ დღეს ეს ჰიპოტეზა ყველას მიერ უარყოფილია. ჰეკელის ჰიპოტეზა მეტაფიზიკურია; ნეგელის მცირეოდნათ ხსნის მემკვიდრეობას მცენარეებში და უმდაბლეს ცხოველებში; უმაღლესი ცხოველების მემკვიდრეობის ასახსნელათ კი უფარვისათ არის ცნობილი, ამიტომ არც ჩვენ მოგვყავს. ყველაზე უფრო რიგიანი ჰიპოტეზა ეკუთვნის ვეისმანს; მისი ჰიპოტეზა ანატომიურათ ემბრიოლოგიურ ფაქტებს არ ეწინააღმდეგება და ამიტომ მეცნიერებისაგან მიღებულია, ვეისმანის აზრით სასქესო უჯრედებში არის ერთგვარი სითხე - იდიოპლაზმა. როცა კვერცხი სპერმატოზოიდთან შეერთებით განაყოფიერდება, მისი იდიოპლაზმა იყოფა ორ ნაწილათ; ერთი ნაწილიდან ჩნდება სხვა და სხვა უჯრედები, რომლებს შვერთებითაც ცხოველი წარმოადგება, მეორე ნაწილიდან კი ჩნდებიან სასქესო უჯრედები. აქედან აშკარაა, რომ სასქესო უჯრედებში მოთავსებული უნდა იყოს მთელი ტანის თვისება, რადგანაც ორივე ერთი და იგივე იდიოპლაზმიდან წარმოადგენს. ამიტომ, როდესაც სასქესო უჯრედი განაყოფიერდება და მთელ არსებათ იქცევა, ახალი ცხოველი შექვევლია, თავის მშობლებს უნდა დაემსგავსოს; რადგანაც ყოველი სასქესო უჯრედი, რომლიდანაც შეილი ჩნდება, შეიცავს ნაწილს იმ იდიოპლაზმისას, რომლიდანაც მშობლები წარმოადგენს. მეცნიერება აღარ უარყოფს მემკვიდრეობას, ის მხოლოდ ცდილობს ამ მოვლენის ახსნას. მომავალში ვეისმანის თეორიაც რომ უარყოფილი იყოს, მემკვიდრეობის ფაქტი მაინც ფაქტათ დარჩება: ჩვენ მხოლოდ მისი

ახსნა და შეგნება არ გვეცოდინება. მემკვიდრეობის მნიშვნელობა ხალხსაც კი შეუგნია დაკვირვებით და უთქვამს: დედა ნახე, მამა ნახე, შეილი ისე გამოიხატება. მეურნეობაში ამ კანონს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ბუნებრივი და ხელოვნური შერჩევის მნიშვნელობა ამ კანონზე არის დამყარებული, ჯანმრთელი და რაიმე მხრივ განვითარებული მშობლები უფრო საღ და ამტან მოდგმას ტოვებენ; ამ კანონის ძალით ადამიანს შეუძლია მცენარეთა და პირუტყვთა ჯიში თავის სურვილისამებრ შეცვალოს. მემკვიდრეობა მოქმედებს ტანის სიდიდზე, სხვა და სხვა ასოების გარეგნობასა და ზომაზე, ფერზე, ბალანზე და სხვა და სხვა თვისებაზე: იორლა ცხენს, იორლა კვიცი ჩამოუდის; კარგ მაწველ ძროხას კარგი მაწველი ძროხა და სხე, ინსტიტუტების მემკვიდრეობით გადაცემა ხომ ყველასათვის ცხადია. საექიმო მეცნიერებაში ყველასაგან აღიარებულია მემკვიდრეობის ძლიერება. ის ექიმი, რომელიც ავთამყოფს არჩენს და მისი მემკვიდრეობა კი არ იცის, გლახა ექიმი. გამორკვეულია, რომ თუ მაშას რომელიმე ორგანო, მაგალითათ: გული - სუსტი აქვს, შეილსაც ეს ორგანო სუსტი ჰყვება; თუ მამა გაუნათლებელი იყო და გონების ვარჯიშობას მოკლებული, შეილი კი უმაღლეს სწავლას ეტანება, (მარტო დიპლომისათვის არა, რასაკვირველია!) ხშირათ ნერვებით ავთამყოფი - ნევრასთენი კი ხდება, რადგანაც მემკვიდრეობამ მას შრომას უჩვევი ტენი არაგუნა<sup>1)</sup>; აშკარაა, მემკვიდრეობის გავლენას თუ ბალანი და კანის ფერიც კი ვერ დავმაღა, ვერც თავის ტენი აცდება; თუ ავთამყოფობა, სხვა და სხვა ორგანოს თვისებანი მემკვიდრეობით გადადის შთამომავლობაზე, შექვევლია ტენის უჯრედების ამა თუ იმ თვისებასაც გადასცემს დედამამა შეილს. ვინც უარჰყოფს მემკვიდრეობას ტენის თვისებათა გარდაცემაში, მან უნდა უარჰყოს ეს სხვა ორგანოების შესახებაც, ეს კი აბსურდი იქნება. რადგანაც ჩვენი აზროვნება ტენის უჯრედების მოძრაობის ნაყოფია, როგორც ზემოთ დავინახეთ, ამ უჯრედების თვისებაზე კი მემკვიდრეობა მოქმედებს, ამიტომ მწერლის ნაწამოებს უნდა უნდა ჰქონდეს მემკვიდრეობას. ადამიანის ხასიათი ერთ-თავათ ნაყოფია მემკვიდრეობისა: მწერლას ხასიათი კი ყოველთვის აძლევს თავისებურ მიმართულებას მის ნიქს. დამტკიცებულია რომ მემკვიდრეობით ხშირათ ბავშვებს გარდაეცემათ ხოლმე დედამის ან სხვა

1) ამგვარი მაგალიტები ძალიან ბევრია ხალხს გამოსული ექიმი კახიანის წიგნი: „роль наследственности въ этиологии болѣзней внутреннихъ органовъ“.

წინაპრების ცუდი თვისებანი; ამის ბევრ მაგალითებს იძლევიან მცირე წლოვანი დამნაშავენი; მეორე მხრივ გამოცდილებამ დაამტკიცა. რომ ამგვარი ბავშვები აღზრდის შემწეობით ჰკარგავენ მემკვიდრეობით გადმოცემულ ცუდ თვისებებს. თუ აღამიანმა ზეპრათ დაისწავლა რამე და რამდენისამე წლის განმავლობაში აღარ გაიმეორა, უმეტესი ნაწილი ავიწყდება; აგრეთვე, რაც უფრო ხშირათ ვიმეორებთ რასმე, მით უკეთ გვჩნება გონებაში: როცა ბავშვები უცხო სიტყვებს სწავლობენ, ერთსა და იმავე სიტყვას რამდენჯერმე იმეორებენ და ამგვარს საშუალებით უკეთ იმანსოვრებენ. ამგვარათ თუ ტვინი ვარჯიშობს, ის იძენს ზოგიერთ თვისებებს; თუ ვარჯიშობას მოკლებულია, შეძენის მაგიერ კიდევ ჰკარგავს. აღზრდა სარგებლობს თავის ტვინის ასეთი თვისებით, ის ავარჯიშებს კარგ თვისებებს და ამით ავითარებს ტვინს; ცუდის ვარჯიშობას კი ხელს უშლის და ამით, თუ ვერ ახშობს მათ, განვითარების ნებას მაინც არ აძლევს; ან პირიქით ცუდ თვისებებს ავარჯიშებს და ავითარებს, კარგს კი ახშობს. აღზრდითი მნიშვნელობა აქვს ოჯახს, სასწავლებელს, იმ საზოგადოებას და პირებს, რომლებიც მომავალ მწერლებს გარს ახვევია; აღზრდა აძლევს მის სულიერ თვისებას სხვა და სხვა ელფერს და მიმართულებას და ამით ღრმა ბეჭედს ასეამს მის ნაწარმოებზე.

ამგვარათ გარკვეულ წესებზე, ანუ სოციალური პირობები, მეტკვიდრობა და აღზრდა მწერლის მოღვაწეობის ხასიათის და შინაარსის წარმოქმნისა. ყველა ეს ფაქტები ერთგვარის მნიშვნელობისანი არ არიან.

ივ. გომართელი.

(შემდეგი იქნება)

სხვა-და-სხვა ამბავი.

მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონების სამინისტროს მინისტრთა კამიტეტში წინადადება შეუტანია, რომ სახელმწიფო ქონებათა სამმართველოებსა და სხვა საგუბერნიო დაწესებულებებში საქონლისა და მანქანების შეკრებას მიღებულ იქნას.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოება შეუდგა ალექსანდროვის ბალის შენობაზე სარაიის მიმატებას, რომელიც გაუმჯობესებულ სამეურნეო იარაღების საწყობათ არის დანიშნული. ამ საზოგადოების მმართველობასვე სურს საწყობში საუკეთესო საზღვარგარეთელი და რუსეთის ფაბრიკული იარაღები იქონიოს. მართველობა იარაღების შეძენისათვის პირო-

ბების გამოარკვევას მიწერ-მოწერის საშუალებით შეუდგა.

სამოქმედო პირობანი ფრანგთა აქციონერულ საზოგადოებისა დამტკიცდა, სახელდობრ: „კავკასიაში მწარმოებელი და მეტალირგიული უსახელო საზოგადოება“.

სამთო უწყების დეპარტამენტს, კავკასიის სამთო მმართველობისათვის დაუვალბია, რომ კავკასიაში მამქმედ ქარხნებისა და ამათი მუშაობის შესახებ ერცელი ცნობები შეადგინონ. აგრეთვე დაევალოთ ცნობების შედგენა მუშების სადგომებისა სანიტარულის მხრით და სხვა. რომლებიც მუშების მდგომარეობას შეეხებიან.

ქ. შუშის სატუსალო შენობის დაქცევას შეუდგენ, და მალე იმავე ადგილზე ადგილობრივი რეალური სასწავლებლის აგებას დაიწყებენ. მაშასადამე, იქ, სადაც ოდესმე ცნობილი ავაზაკი — აბდულ-ქიარამი, ქერ-ოღლი, ისმაილი, ჯამალი და სხვა ისხდენ, სწორეთ ამ ადგილზე აშენდება სამეცნიერო ტაძარი, გასაკაც-გასანათლებლათ იმავე ქიარამ და სხვების შეილთა და შეილის შეილთა. ეს უძლიერესი საშუალება არაა ავაზაკობის აღმოსაკვეთადო ამბობს „თფ. ფურც.“ მკითხველებმა უწყიან, რომ ამ შენობას ნათის მწარმოებელი რათაელოვი თავის ხარჯით აკეთებს.

12 ამთვეს გავიდა პირველი მატარებელი თფილილიდან ყარსისკენ.

სახალხო განათლების სამინისტროს შეუქმნა ვეუქტი პედაგოგიური სემინარიის დასაარსებლათ: 1) უმაღლეს სასწავლებლებში მიღებულ სამეცნიერო ცოდნის შესახებ გასაფართოებლათ, და 2) პრაქტიკულათ მოსამზადებლათ და პედაგოგიური შრომისთვის სამოქმედოთ. ამ ტიპის სემინარიებში იქნება ორ-ორი წლის კურსები. მოსწავლეები სტიპენდიას მიიღებენ, წელიწადში თითოეული 600 მან. და მათი სემინარიაში ყოფნა სახელმწიფო სამსახურის დროთ დაეთვლებათ. პროექტი ამბობს, რომ ამნაირი სემინარიები ღემნაზიებში და რეალურს სასწავლებლებში გაიხსნება.

1898 წ. დეკემბრის შუა რიცხვებში ფაბრიკების უფროს ინსპექტორს უგლიჩში (იაროსლავ. გუბერ.) ქალაქის ფაბრიკის პატრონ ვარკუნინისათვის ნება დაურთავს, მათა ფაბრიკის ყველა განყოფილებაში მუ-

შეგი ორი რიგის (сѣбѣ) და 12 საათის მაგიერათ ღლე და ღამეში 3 რიგათ და თითოეული ჯგუფი 8 საათს მუშაობდესო. მაგრამ დღიური ქირა 8 საათში იმდენი ეძლეოდესთ, რამდენიც წინეთ 12 საათშიო. მუშები დათანხმებულან ამ ახალ პირობებზე. და ამ წლის 1 იანვარს ფაბრიკის მმართველ დაღბერგს პარაკლისის გადახდის შემდეგ 8 საათის სამუშაო ღლე გამოუცხადებია. რადგან სამუშაო ღლე ამ ნაირათ შემცირდა, ამიტომ ფაბრიკაში მუშაობა კვირა-უქმე დღეებშიაც წარმოებს. თუ რა ძირითადი ცვლილებები მოჰყვება ამ გეარ საფაბრიკო რეფორმას წლის ბოლოს შედგენილი ანგარიში შეგვატყობიებს. ახლა კი გაბედვით შეგვიძლია იმისი თქმა, რომ მუშები, თხიზლათ და ნაყოფიერათ ასრულებენ თავის სამუშაოს, რის გამო, ვარკუნინის ქალაქის ფაბრიკა წელიწადში 25,000 ფუთ ქალაქს წინანდელზე მეტს მოამზადებს. ამ ფილანტროპიული საფაბრიკო რეფორმის შემოღებით ორივე მხარე დაკმაყოფილდაო, ამბობს „პეტერბ. უწყებები“.

სამშაბათს 13 ივლისს, საღამოს „ლონდონის“ სასტუმროში, სხვათა მრავალთა შორის სადილობდენ თფილისის გუბერნატორი ი. ნ. სეჩინი, ვიცე გუბერნატორი კ. კ. სტეფანოვიჩი, ბ-ნი ტებენკოვი და სხ. ერთ საათს შემდეგ ყველა მოსადალეებმა მუცლის ტკივილი იგრძნეს, ყველას პირის ღება დააწყებინა და გამოაჩნდათ მოწამელის ნიშნები. მოწამლულთ სამკურნალო დახმარება აღმოუჩინეს. პოლიციის გამოძიებამ გამოარკვია, რომ აღნიშნულ სასტუმროში იმ დღეს მოიწამლა 15 კაცი, სხვათა შორის, სასტუმროს პატრონი ბ. ნი რისტერიც. სასტუმროდან გაგზავნილ იქნა გამოსაკვლევათ სასმელ-საჭმელების ნიმუშები საგუბერნიო გამგეობის სამკურნალო განყოფილებაში და ქალაქის საქიმო ლაბორატორიაში. მოწამლულნი ახლა კარგათ არიან.

თფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან. 1) ჰდგომარე წლის ენკენისთვისათვის ამ სასწავლებელში სულ ორმოც და თექვსმეტი ვაკანსიაა: პირველ განყოფილებაში 50 ვაკ. (7—8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორეში 6 ვაკ. (8 და 9 წლის ყმაწვ.), სხვა განყოფილებებში და ღემნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

2) 56 ვაკანსიიდან 55 დანიშნულია გარედან მოსიარულეებისათვის და ერთი საზოგადოების სრულ ხარჯზე.

3) ეინც საზოგადოების სრულ ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

4) ეისაც ჰსურს მიღებულ იქნას საზოგადოების სრულ ხარჯზე, უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან შემდეგი ქალაქდები; ა) წლოვანობის მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა თფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვაილის აცრის მოწმობა.

5) ეისაც გარედან მოსიარულეთ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქალაქდები. გარდა დამფუძნებლობისა და სიღარიბისა.

6) თუ მთხოვნელთა რიცხვით აღემატა ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი მიშეებულნი იქნებიან წილის ყრით.

7) პანსიონში შემომსვლელთათვის მცირე ვაკანსიების რიცხვი, მსურველი კი ბევრია, ამიტომ სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი, ამიტომ სკოლის მთავრობა თხოვს მშობლებს, უთუოთ შემოიტანონ პირველი ენკენისთვისათვის, რაც მათზეა დარჩენილი, თორემ მათი შეილები უსათუოთ დათხოვილ იქნებიან პანსიონიდან.


8) თხოვნების შემოტანა შეიძლება აგვისტოს 25-მდის. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგი ადრესით: Въ Тифлисъ. За-въдывающему Тифлисской Дворянской школой на Лабараторной уулицѣ въ д. Селикова.

1 სექტემბერს დაიწყება სწავლა 9) პანსიონში არ იქნებიან მიღებული აგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1899/1900 სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

10) პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგიონ თავდებათ თფილისიში მცხოვრები.

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ხუთშაბათს 15 ივლისს მემკვიდრე ცესარევიჩის დასაფლავების მეორე დღეს. გადახდალი იყო პანაშვიდი მემკვიდრე ცესარევიჩის კარის ღვინის მოვაჭრე გ. გ. ყუზანოვსაგან, და იმისგანვე დაურვიდათ 500 ლარი-ლატაკს სადილი. ყოველ კაცს მიეცათ: ხელსახოცში გახვეული თითო პურა, ერთი ნაჭერი ყველი, ორორი კიტრი, ორი კარგი ნაჭერი ცხერის ხორცი და თითო ბოთლი ღვინო და არა ისე როგორც გაზეთ „კავკაზში“ იყო გამოცხადებული.

1898 წლის დამდეგს თფილისის გუბერნიის ყველა სატუსალოებში დაპატიმრებული ყოფილა 945 კაცი. წლის განმავლობაში დაუპატიმრებიათ 5451



კაცი, ხოლო გაუთავისუფლებიან — 5344 კაცი. ტუ-  
სალთა შორის დანაშაული ჩაუდენიან სარწმუნოების  
წინააღმდეგ — 13 კაცს, მართვა-გამგეობის წეს-რიგის  
წინააღმდეგ — 322-ს, ხაზინის შემოსავლისა და ქონე-  
ბათა წინააღმდეგ — 49-ს, საზოგადო წესიერებისა და  
შუბილობიანობის წინააღმდეგ 281-ს, მკვლელობით  
— 237-ს, მკვლელობის განზრახვით — 157-ს, დაჭრით  
— 88-ს, შეურაცხებით — 54-ს გაუპატიურებით — 19-ს,  
ცრუ დაბეჭდებით — 1-ს, ბავშვის მოკვლით — 2-ს,  
ცეცხლის წაქიდებით — 20-ს, გაძარცვით და ყაჩაღო-  
ბით — 170 ს, ქურდობით — 1,057-ს, ნაქურდლის და-  
მაღვით — 153-ს, მოტყუებით — 55-ს, სიყალბით —  
21-ს. ცხენისა და სხვა პირუტყვის მოპარვით — 73 ს,  
კერძო საკუთრების წინააღმდეგ — 94 ს, ქორწინების  
წინააღმდეგ — 20-ს.

„აკვალის“ კორესპონდენციები.

**ბ.** ბათომი. ბევრი წერილები დაიბეჭდა ქართულ  
გაზეთებში იმის შესახებ თუ რა მდგომარეობაში არიან  
ბათომელი მუშები, მაგრამ მე მაინც მეტათ არ მიმა-  
ჩნია იმაზე ორიოდ სიტყვა კიდევ ვთქვა. სა-  
ზოგადოთ ცნობილია რომ ბათომში ბევრი ქართვე-  
ლი მუშები არიან, რომელიც სხვა და სხვა კუთხეები  
დან გადმოურეკავს ცხოვრების მოთხოვნილებას და  
ძალა უნებურათ ჩაუყენებია სხვა გვარ კალაპოტში.  
ისინი ერთობ დაქვეითებულნი არიან გონებრივი გა-  
ნვითარებით და, უმეტესობა ზნეობრივთაც ირყენე-  
ბა. ოფლით შეძენილ გროშებს გამოუსადეგარ  
და ჯანმრთელობის გამათახსირებელ საქმეში ხმა-  
რობენ, თავისუფალ დროს სამიკიტნოში არაღე თა-  
რალეს ძახილს ანდომებენ, რომელსაც ხშირათ ცუდი  
შედგვი მოსდევს. რა არის ამის მიზეზი? ნუ თუ ქა-  
რთველი მუშები არ არიან კეთილი საქმის თანამკრ-  
ძნობნი? ნუ თუ მათ არ სურთ განათლება შეიძინონ?  
ტყუილი აზრია, ისინი პირიქით მეტათ გულ კეთი-  
ლნი და თანა მკრძნობნი არიან საზოგადო საქმისა.  
ამისათვის ბევრი მაგალითის მოყვანა საჭირო არ არის,  
ისიც კმარა გასათვალისწინებლათ თუ რა სიხარუ-  
ლით და აღტაცებით მიეგებენ ამას წინეთ გამართულ  
სახალხო წარმოდგენას. მარა რაქნან, როდესაც ბათო-  
მში არ არსებობს იმათთვის არავითარი გონების გასა-  
ვითარებელი საქმე, რომ თავისუფალი დრო წიგნის  
კითხვას და სწავლას მოახმარონ. ერთათ ერთი  
საშუალება, სახალხო ბიბლიოთეკა არის, რომელსაც  
დიდი ნაყოფის მოტანა შეუძლია მათთვის. ჩვენ  
სრული იმედი გექონდა აქ სახალხო ბიბლიოთეკის  
გახსნისა, რადგან ნებართვა აღებული იყო და მასთან


რამდენიმე მანათი შეგროვილი, მაგრამ იმედი  
გვიცრუვდა. ჯერჯერობით არაფერი ჩანს. ასეთია  
ჩვენებური საქმიანობა. რამეს დავიწყებთ თუ არა მა-  
შინვე ქვეყანას უნდა მოვდეთ, რომ ერთმანეთი გა-  
ვაკვიროთ და ბოლოს კი ხელში არაფერი გვჩნება.  
გასულ წელში ბათომელმა ქართველმა ნოქრებმაც მო-  
ვანდომეთ, ნოქართა ამხანაგობა შეგვედგინა და ვა-  
ქრობა გაგვეხსნა, მართლაც, პირველათ უველანი სი-  
ხარულით მიეგებებთ ამ სიმპატიურ საქმეს და რიგი-  
ანათაც დაეგვირგვინებდით აღძრულ კითხვებს, რომ  
აქაც ქართველურ დაუდევრობას და უთანხმოებას არ  
ეჩინა თავი. არ იქნა და არა ვერას გზით ვერ შეე-  
თანხმდით: ზოგს „ხარშოვნიას“ გაღება სურდა, ზოგს  
ყავახანის და ზოგს კიდევ სხვა, რომელსაც არავითა-  
რი კეთილი ჩაყოფის მოტანა არ შეეძლო. ატყდა  
უთაებოლო დაეიდარება, რომელმაც რამდენსამე  
კვირას გაატანა და ბოლოს სულ განისვენა წიაღსა  
შინა აბრაამისასა. მას მერმე განვლო დრომ, ჩვენც  
ხსიათი გამოვიცვალეთ, პირველი განზრახვა უკუ  
ვაგდეთ და მეორეს შევუდევით, ეს მეორეც ბიბლი-  
ოთეკის დაარსების საქმეა, მხოლოთ იქაც უთანხმო-  
ბა წარმოდგა. ზოგს საეპრო ბიბლიოთეკა სურს  
დაარსდეს ზოგს კი სახალხო.

ჩემი აზრით ბევრათ უკეთესი იქნება ხალხისა-  
თვის სახალხო ბიბლიოთეკის დაარსება და მასთან  
ჩვენთვის მეტათ აღვილიც, რადგან ნებართვა უკვე  
აღებულია და აგრეთვე ცოტა ფულიც შეგროვილი.  
ამიტომ ურიგო არ იქნება, საქმის გამგენი გაგვაგე-  
ბიებდენ, გაზეთის საშუალებით მაინც, თუ რაში მდ-  
გომარეობს სახალხო ბიბლიოთეკის საქმე და შემო-  
გვიერთდებოდენ, რომ იმით უფრო აღვილათ და მა-  
ლე შევიძლოთ დაწყებული საქმის განხორციელება.

გ. თუბანაშვილი.

**დ.** ხონი. ორიოდ სიტყვა აქაურ მდინარე წყლის  
შესახებ. ამ რამდენსამე წლის წინეთ ბატ. ნიკო  
ნიკოლაძის და ივანე სე. შარაშიძის მაცადინებობით  
ხონში იქმნა გამოყვანილი მდინარე წყალი, რომელიც  
მომდინარეობს ს. მათხოჯზე, ჩამოდის ხონში, საა-  
მურათ ჩაურბის დუქნების რიგს, შემდეგ მიდის ს.  
ჯიხაიში, იქ გაივლის ბ. ნიკო ნიკოლაძის სახალხის  
წინ და მერე ერთვის მდინარე გუბის წყალს. ამ  
წყალმა ხონელებს და, აგრეთვე მის გარშემო მდ-  
ბარე სოფლებს, ვისაც და სადაც კი სარწყავათ ხედ-  
ბა, დიდი სარგებლობა მოუტანა და აი რით:

—სანამ მდინარე ცხენის-წყალს გამოიყვანდენ  
ხონში და აგრეთვე იმ სოფლებში, რომლებზედაც  
ახლა მიმდინარეობს, ადგილობრივ მცხოვრებლებს



სარწყავი წყალი არ ჰქონდათ, არც წისქვილი იყო ახლო-მახლო.

ამის გამოც მცხოვრებლები იძულებული იყვნენ 5 — 10 ვერსზე წაეღოთ საფქვავეი, სადაც აუარებელი ხალხისა და საფქვავეებისა გამო შეიძლება ერთ კვირას შემდეგ ეშოვათ წისქვილი. აჲ და ამ გვართ, კაცი ცდებოდა მუშაობას და ცოლ-შვილი უმწუხრდებოდა უფქვილობის გამო. სარწყავი წყალი ხომ სრულებით არა ჰქონდა, ამ ნაირ გაჭირვებულ მდგომარეობაში იყვნენ ადგილობრივი მცხოვრებნი მანამდის, სანამ ზემო აღნიშნულმა პირებმა ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობაში არ ჩახედეს და ხალხის თანამგრძობლათ არ გახდნენ.

ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, რომ გაიგეს მდინარე წყალი მოსარწყავათ და აკრეთვე ეზოში საქონლისათვის (პირუტყვისათვის) დიდათ სასარგებლო იყო, თითქმის, განურჩევლათ წოდებისა, ყველამ მოიწადინა, რომ წყალი მის ეზოში გაეყვანათ. ამ აზრს მართებლობაც და მოღვაწე პირებიც დაეთანხმენ და მართლაც ვის ეზოშიც კი მოხერხდებოდა და ადგილის მდებარეობა ნებას აძლევდა, თითქმის ყველგან იქმნა გაყვანილი. ხონში იშვიათათ შეხედებოდი იმისთანა ქუჩას რომ მდინარე წყალი არ ყოფილიყოს გაყვანილი. წყლის გამოყვანის შემდეგ წისქვილებიც გამრავლდა, თითქმის ყოველ ნახევარ-ვერსტის მანძილზე აქ წისქვილს შეხედებით.

ამ კეთილ საქმეს ყველა ერთგულათ მოეკიდა. ადგილობრივ მცხოვრებლების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, მით უმეტეს, რომ იმათ ეკონათ წყალი უფასოთ მიეცემოდათ. არ გასულა რამდენიმე თვე, რომ გამოცხადებულ იქმნა მთავრობის მიერ დადებული ფასი სარწყავ ადგილებზე. ერთი ქცევა მიწის მორწყვა წელიწადში ღირდა 12 — 15 კაპიკამდე.

ამ ბაჟმა მაინც ვერ შეაფერხა წყლით სარგებლობა, მით უმეტეს, რომ მცხოვრებლებს ჯერ ვერაფერი ცუდი თვისება ვერ შეენიშნათ, რომელიც ვითომ და ადგილობრივი ექიმების გამოკვლევით მერე გაიგეს. საკვირველიც და სამწუხაროც იყო, რომ გენახათ ერთი წლის შემდეგ მცხოვრებლების საქცაველი, სწორეთ იმ საგანს, რომელსაც პირველათ ეტრფოდენ და ყველა თავისკენ იზიდავდა, ახლა უმეტესობა ზიზლით უყურებდა, ყველას უნდოდა, როგორმე მოეშორებინა თავდან, თითქმის ახლა დასახნავათაც ეზარებოდათ ის, რისთვისაც პირველში თავს დებდენ..

მიზეზი იმისა თუ, რისთვის შეიძულეს მცხოვრებლებმა ეს წყალი, შემდეგია: როგორც ადგილობრივმა ექიმებმა გამოიკვლიეს, ვითომ მდინარე ცხენის წყალს უნდა გამოეწვიოს ხონში და აკრეთვე

მის გარშემო ახლო მახლო მდებარე სოფლებში ციებ-ცხელება და სხვა ავთმყოფობა. აი სწორეთ ამასათვის შეიძულეს მცხოვრებლებმა მდინარე წყალი. რამდენათაც პირველათ ზრუნავდენ მდინარე წყლის საშოვნელათ, იმდენათ ახლა მის მოსაშორებლათ ცდილობდენ. რომ გვეთხათ, რისთვის არ გინდა წყალიო, შემდეგ პასუხს მიიღებდით: „თუ მეც და ჩემი ცოლ-შვილიც გაეწყდებით, რათ გვინდა წყალიო“. ამ გვარი გულ აცრუების შემდეგ სოფლათ სარწყავათ გადაყვანილი მდინარე წყლების თითქმის 2/3 გაუქმებულ იქმნა. მცხოვრებლებს ისე ჰქონდათ წარმოდგენილი, რაკი მდინარე წყლები მოიშორეს იმითი ის ბაჟებიც მოიშორეს, რომელიც მთავრობის მიერ იყო დაწესებული, მაგრამ იმედი გაუცრუებდათ საბრალო სოფლებებს. განა, როგორც წყალი მოიშორეს, ისე იმ წყლის თაობაზე დაწესებული ხარჯების გადახდიდანაც გათავისუფლდენ?! სრულიათაც არა, ჩემო მკითხველო, იმ გარდასახადებს დღესაც ისე იხდიან, როგორც წინეთ იხდიდენ, მხოლოთ წინეთ სარგებლობდენ იმ წყლით და დღეს კი აღარ საგებლობენ. საჭიროა ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება ვისიც ჯერ არს. აკრეთვე ბატ. ივანე სიმონის ძე შარაშიძე, როგორც საზოგადოებისთვის გულ-შემატყვიარი და ხონელები-სათვის კეთილის მსურველი, იმელია მიაქცევს ყურადღებას ამ გარემოებას, შევა ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობაში და ააცდენს იმ ხარჯებს, რომლის გადახდაც ძლიერ ეძნელებათ და აღარც რაიმე სარგებლობა მოაქვს მათთვის.

გ. წიგწავაძე.

ქუთაისი. მკითხველთ თავი აქეთ მობეზრებული ქუთაისის ამბებით, რადგან მწერალთ უჩეტეს ნაწილათ ქუთაისის ცხოვრების ერთი მხარე და ვითარება აქეთ აღებული სამწერლო საგნათ. ამ ს გამო ვკადნიერდები და მკითხველთა ყურადღებას მივაქცევ ჩემნი დედა ქალაქის ერთ ბნელ კუთხეს, რომელიც თითქმის სრულიად მოკლებულია ყოველსავე მზრუნველობას, და რომელშიაც ყოველგვარი უწესობა აშკარათ გაბატონებულია: ეს კუთხე განლაეთ ურიების ბაზარი!. ღმერთმა ყოველი მოსისხლე მტერი დაიფაროს იმ ქუჩაში გავლისაგან! მგონია ჯოჯოხეთიდან უფრო უნებლათ გამოვა კაცი, ვიდრე იქიდან!.. წარმოიდგინეთ, მდინარეთ ხამი და გამოუცდელი კაცი; როგორც მშვიერი მგლები, ისე წაგსევინან მეფართლეთ, თუ სხვა წერილობანი ეჭარი ურიები: ორი მათგანი სახელოებში გტაცებთ ხელს, ორი კალთებში, ერთი გულის-პირში და ყველა თავ თავის დუქნისკენ მიგათრევსთ. ეჲუღარები: გამიშვით-არა



საქართველოს  
საბუნების  
მეცნიერება



მინდა რა თქვენია!“ მაგრამ ვინ გაგიკითხაეთ?! გეწვეიან აქეთ იქით და ბოლოს ის დაგისაკუთრებს, რომელიც მათში უფრო ღონიერია!.. ხშირათ მომხდარა, რომ საბრალოს ერთიანათ შემოაგლეჯენ რაც რამ აცვია და უზრუნველს საზრუნველათ უხვად. მეგათრევენ თუ არა დუქანში, მოგაყრიან გახუფებულსა და დამპალ ფართლებლობას; სამი დარაჯი კარებსა და შენ შუა გამწკრივდება, რომ ან ერთს ან მეორეს ხელიდან არ წაუხვიდე, მეორეს დახლიდან გათფლავს, „კნიაზის“ ხარისხით გმოსაეს, თან შაურისანს მანეთათ ვიფასებს და ისე დაგიტყვევებს აზრსა და გონებას, რომ ათ შაურს მანც დაგაძრობს ხელიდან... თუ მიუხედი და ღირებული ფასი შეაძლიე, ათასი უშევრი სიტყვითა და გინებით შეგამკობს, რომ „კნიაზათ“ კი არა, მოჯალაბეთაც აღარ იფარგო; მასთან ერთათ მთელი ბაზარი კიყინასა და სიცილ-ხარხარს დაგაყრის! „რას შერებინ ამ დროს პოლიციის მოხელენია?“ იკითხათ. საუბედუროთ პოლიციელთ იქ წამლათაც ვერ იპოვით, რადგან ისინიც ბულვარდის გარემოს მოტრფილეთ განხდარან! მხოლოთ უქმე დღეებში, დღეებში ერთხელ, ბოქაული ჩამოივლის, რომ წირვას დროს ურიებს დუქნები დააკეტინოს და ვაჭრობა შეაწყვეტინოს; მაგრამ ისინი, ძოიშორებენ თუ არა მას თვლიდან, მყისვე აღებენ დუქნებს და გამღელ — გამომღელთ თავსებურათ ცარცვავენ, რადგან იციან, რომ მეორეთ აღარაფერ დაათვალერებს მათ. საჭიროა, რაც შეიძლება, გამრავლებულ იქნეს ურიების ბაზარში პოლიციის მოხელენი; რომ ისინი იღებდენ ზომებს ჩარჩთა მტარვალობ ს წინააღმდეგ. ვარდა ამისა საჭიროა რამეე ბაზარში დაარსებულ იქმნას ფართლისა და სხვა მანუფაქტურის საეაჭროები, რომლებშიაც ვაჭრობა უნდა წარმოებდეს ერთხელეე დადგენილი ფასით.


გ. პოკერია.

### პარლამენტი და ქუჩა.

(წერილი პუბლიკაციას).

დენისის 28 პარლამენტში უფრო კიდევ მეტი არეულობა მოხდა. ამ დღეს მუშტსაც კი მიმართეს. კრება 2 საათის დაწყებული არ იქნებოდა, რომ გარეშე საზოგადოება და პრესის წარმომადგენელნი დაიხრევს პარლამენტიდან (ჩვეულებრივათ კი პარლამენტის სხდომები გრძელდება 4 - 5 საათს), ამეე საღამოს 8<sup>1</sup>/<sub>2</sub> სათზე დანიშნული იყო მიჯინები ორკერძო თეატრში. გამოცხადებულ დროზე თითქმის

ერთი საათით ადრე ხალხით გაიჭედა, როგორც თეატრები, ისე ამ თეატრებ წინ მდებარე მოედნები. ორატორები ლაპარაკობდენ როგორც თეატრებში, ისე გარეთ მოედნებზე. საგანი ყველა ამ მიტინგებისა იყო რასაკვირველია დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა. მიტინგებს შემდეგ ეს ამოდენა ხალხი, რომელთა რიცხვი აღემატებოდა 20 ათასს, გაუდგა ბრიუსელის ქუჩებს. აფრიკელებდენ წითელ ბაირალებს, მღეროდენ მარსელიეზას და აკრეთვე „ოვანდენპერბოომ!“ ((მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს გვარია) პერბოომ! ბუმ! ბუმ! ბუმ! და ზედ ურთობდენ სხვადასხვა სამინისტროსა და მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვებს. ღამის 10<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათი იქნებოდა, რომ მანიფესტანტებ ს კორტევი მოვიდა კაროლის პარკთან, რომლის ერთ მხარეზე იმყოფება სამინისტრო და პარლამენტი, მეორეზე კაროლის სასახლე. აქ ასტეხეს საშინელი სტვენა, „à bas la calotte!“ „ძირს სამინისტრო!“ „გაუმარჯოს საერთო საარჩევნო უფლებას!“ და სხ. საქალაქო პოლიციის ცდა და ძახლი: აქეთკენ გამოვლა სასტიკათ აკრძალულიაო, ამოთ დარჩა. მანიფესტანტები თავსას აგრძელებდენ. უცებ, ატყდა წარმოუდგენელი ქრიაშული, სტვენა, კიჟინა, ყვრილა: „ძირს ტირანია!“ ყველა აირია, აითქვიფა, ხალხის ტალღები აქეთ-იქით მიჰყდა. ხალხის შუაგულში შემოაქენა ცხენები 50 შეია აღებულმა, ხალ ამოდებულმა ჟანდარმმა, იქვე ჩამწკრივდენ შტიკანი სალდათები. დაუწყეს ხალხს გაფანტვა. საითკენაც ჟანდარმები გაივლიდენ ხალხი სტვენითა და ყვირილით: hou! hou! გზას უგდებდა. მარა ერთ მხარეს რომ გაფანტავდენ და მიუბრუნდებოდენ მეორეს, პირველს უკვე თავისი პოზიცია (ადგილი) ეჭრა და გადახიდა: „ძირს სამინისტრო!“ „ძირს ტირანია!“ „გაუმარჯოს თავისუფლებას!“ რამდენსამე ხანს შემდეგ ერთ ქუჩის შესახვევში მანიფესტანტებმა გააქრეს ფარნები და დაუწყეს ჟანდარმებს ქვევისა და აკურის ნატეხების სროლა. მეორეგან დასციეს ერთი დაუთავებელი, ახალ სახლზე მიშენებული, ხარჩობები და გააკეთეს ბარბიკადა. გაფარდა რამდენჯერმე რევოლვერი. მახლობელ ყაფანხიდან მანიფესტანტები ესროდენ ჟანდარმებს სტაქნებს, ბოთლებს და სკამების ნატეხებს. ერთ ქუჩაზე კიდევ გადააბრუნეს „კონკა“, და „კონკის“ ეგონიდან გააკეთეს ბარბიკადის მხგავის საფარი, რომ თავი დაეცვათ ზედ მოსეულ, ხმალ ამოწვდილ ჟანდარმებისაგან. აქაც გაფარდა რამდენჯერმე რევოლვერი. ამ ამბავმა გაატანა ღამის 1<sup>1</sup>/<sub>2</sub>-ღის. დაჭრილი აღმოჩნდა რამდენიმე მუშა, მათ შორის, ორი „კონკის“ კუჩერი; სუბუქათ დაშავებული იყო რამდენიმე ქალი. მოკლული იყო ერთი „კონკის“ ცხენი. ჟანდარმებში ერთი და



ჭრილია და მეორე, რომელიც ცხენიდან გადმოაგდეს საკმაოთ დაშავებული. ერთი დაჭრილი მუშა მესამე დღეს გარდაიცვალა

მეორე დღეს 29 ივნისს პარლამენტში მემარცხენე დეპუტატებმა კითხვა აღძრეს; რას ნიშნავს, რომ გუშინდამ მთავრობამ შეიარაღებული ჟანდარმები მიუსია უჩიარალო ხალხს... ჩვენ ეთხოვლობთ, რომ პარლამენტმა დაჭმოს და გაჰკიცხოს მთავრობას ასეთი მოქმედება. წამოდგა მინისტრი ოვანდენპერბოლომი. ძალიან კარგი — დაიწყო მან — მე გიპასუხებთო (მარცხნივ ხმაურობდნენ და რამდენჯერმე აწყვეტინებდნენ სიტყვას). ვნებავთ თუ არა, რომ გიპასუხოთ? (მარცხნივ: ლაპარაკეთ, დამნაშავე! ილაპარაკეთ, ავაზაკო! იმართლეთ თავი!) ეს ოცი წელიწადია — განაგრძობს მინისტრი — რაც მე საპოლიტიკო ასპარეზზე გამოვედი. მე სხვა მიზანი არა მქონია არა გარდა ერთისა: ჩემი ქვეყნის სამსახური (მარჯვენა: treshien! მარცხნივ: ხმაურობა. ერთი მემარცხენე: თქვენ თავის ქებას კი არა გთხოვთ, ჩვენ გუშინდელ ბარბაროსობაზე გეკითხებით). მე არ შემიძლიან დაწერილებით გელაპარაკოთ. მოლეთ რომ გითხრათ, როგორც ჟანდარმებრიამ, ისე პოლიციამ და სალდათებმა გუშინ თავიანთი მოვალეობა შეასრულეს. (მარცხნივ საშინელი ხმაურობა, სტვენა. მინისტრს აღარ აძლევდნენ ლაპარაკის ნებას). რამდენიმე მემარცხენე დეპუტატი ამბობს შესაფერ, ვრცელ სიტყვას. ბოლოს ისევ წამოდგება მინისტრი. მარცხნივ ერთი დეპუტატი უჩვენებს მინისტრზე და ეკითხება მეორე დეპუტატს: ვინ არის ეს, რომ დგება სალაპარაკოთ? — ეგ ჟანდარმების მინისტრია! მეორე დეპუტატი: ეგ ჯალათია! მესამე: ეგ კაცის მკვლელია და სხვ. კიდევ შეიქნება ხმაურობა. თავმჯდომარე წყვეტავს კრებას. მარცხნივ მღერიან მარსელიეზას. შემდეგ პარლამენტის აივანზე გადმოდგებიან მუშათა დეპუტატები და ხალხს სალაპარაკოთ აძლევენ; უქნევენ ხელსახოცებს, უძახიან: „გაუმარჯოს ხალხს!“ „გაუმარჯოს საერო საარჩ. უფლებას!“ ხალხი წარმოუდგენელი აღტაცებით სალამითვე უპასუხებს. ერთუხი-ზმით მღერიან მარსელიეზას. „à bas la calotte!“ შეაჩვენებენ კლერიკალებს. ცოტა ხანს შემდეგ გაჩნდებიან ცხენასანი, ხმალო ამოღებული ჟანდარმები... სტვენა, კიჟინა: „hou!“ „hou!“...

სალამოთა დაიწყო და განმეორდა იგივე მანიფესტაცია, რაც წინა ღამეს. კიდევ დაჭრეს რამდენიმე მანიფესტანტი.

30 ივნისს პარლამენტში სხდომის დაწყებისთანავე მინისტრმა ოვანდენპერბოლომმა აუწყა კრებას: მთავრობა მზათ არის დააჯეს შერიგების გზას, მიიღოს ყველა ზომები, რომ დაამშვიდოს ხალხი, წესი-

ერება ჩამოაგდოს როგორც პარლამენტში, ისე ქუჩაში, ამის შესახებ მთავრობის სწორე გადაწყვეტილებას წარმოგიდგენთ მომავალ სხდომაზე, ახლა კი ეთხოვ კრებას და თავმჯდომარეს დაიხუროს კრება. მინისტრის განცხადება პარლამენტმა ტაშით მიიღო. ცხადი იყო მთავრობა უკან იხევდა. მუშათა დეპუტატები გამოვიდნენ, ახარეს ეს ამბავი ქუჩას და თხოვეს სალამოზე შეკრებილიყვენ სახალხო სახლში. დანიშნულ ვადაზე გაიჭედა ხალხით როგორც სახლის სადღესასწაულო ზალა, ისე სახლის წინ მდებარე მოედანი. ორატორები ლაპარაკობდნენ როგორც ზალაში, ისე მოედანზე, სახლის აივანიდან. სხვათა შორის, ვანდერველდმა, რომელიც თავმჯდომარეობდა მიტინგს, განმარტა მინისტრის ზემოხსენებული განცხადება, მოულოცა კრებას პირველი ნაბიჯი გამარჯვებისაკენ, მაღლობა გადაუხადა ზოგიერთ თავის ამხანაგ დეპუტატებს ენერგიული მოქმედებისათვის, აგრეთვე რამდენსამე ლიბერალს, რომელნიც ერთგულ მონაწილეობას იღებდნენ ბრძოლაში და შემდეგ დასძინა სახელოვანმა ორატორმა: „და რაც შეგეხება შენ, ძვირფასო მუშათა პარტიავ, რომელიც დღევანდელ ბრძოლაში ერთხელ კიდევ შეიმოსე სიდიადით, შენ გულის სიღრმიდან გეუბნები: „merci, merci!“... მიტინგს დაესწრო აგრეთვე რამდენიმე სალდათი. ერთმა ამოვანმა სიტყვა წარმოთქვა და სხვათა შორის უთხრა კრებას: „თუ საჭირო გახდება, ძმებო, ჩვენც თქვენ რაზმში ჩავდგებით და თქვენთან ერთათ ვიბძოლებთ საერთო მტრების წინააღმდეგ, ჩვენი საერთო ინტერესების დასაცველათ“. მოძრაობაში მონაწილეობას იღებდნენ სალდათებიც. მაგალ., ამას წინათ სამხედრო მანევრების (აღლუმი) დროს, სალდათების ერთმა რაზმმა ასტეხა ძახილი: „გაუმარჯოს საერ. საარჩ. უფლებას!“ „ძირს კლერიკალები!“ და სხ. ღენერალი, პოლკის კამანდირი მივიარდა სალდათებს და ასეთი სიტყვებით შეტუქსა: „თქვენ თავისუფალი ხართ იქონიოთ როგორც გინდათ პოლიტიკური შეხედულება, რწმენანი, მაგრამ არავითარი უფლება არა გაქვთ მანიფესტაციაში მონაწილეობა მიიღოთ და მით პარტივა ახადოთ თქვენ მუნდირსო!“... თუ რამდენათ გამწვავებულია პარტივა ბრძოლა, აი, ამის მაჩვენებელი კიდევ ერთი პატარა მაგალითი. 29 ივნისის მანიფესტაციაში ერთი ტყვიით დაჭრილი ახალგაზრდა მუშა ამხანაგებმა გადაიტანეს სახალხო სახლში და დაფაცურდნენ ექიმის მოსაყვანათ. იქვე, მახლობლათ, ქუჩაში შეხვდა ექიმი, რომელსაც მუშებმა თხოვეს მოსულიყო რე დაჭრილისათვის დახმარება აღმოეჩინა. — მე... მე საკუთარი კლიენტები მყავს და არ შემიძლიან სხვებს ვუწამლოვო“, მიუგო განათლებულმა გვამმა. მუშებმა სასაცილოთ

აიგდეს ექიმი და გაეშურენ სხვასთან, როგორც მე-  
რე აღმოჩნდა, ეს ინტელიგენტი კლერიკალურ-კონ-  
სერვატიულ პარტიისა ყოფილიყო და ოპოზიციონისტს  
არა წამლობდა...

მიტინგები და მანიფესტაციები ხდება ყოველ  
დღე, ხოლო იმ განსხვავებით, რომ მას შემ-  
დეგ რაც მიწისტრმა გამოაცხადა მთაწერობამ გადაწ-  
ყვითა მორიგების გზას დაადგესო, პოლიცია და ქან-  
დარშები აღარ დეფნიან მანიფესტანტებს. მღელეა-  
რება მატულობს როგორც ბრიუსელში, ისე პრო-  
ვინციებში, განსაკუთრებით ლიეჟში (ლიუტინი), ან-  
ვერსში (ანტერპი) და შარლოუაში. ამ დღეებში  
მომხდარ ბრიუსელის მუშათა ორგანიზაციების დე-  
ლეგატთა კრებაზე გამოცხადდა, რომ ბრიუსელის  
მუშა ხალხს, თანხმად პარტიის უმთავრესი საბჭოსი,  
გადაუწყვეტია მოახდინოს საერთო გაფიცვა იმ შემთ-  
ხვევაში, თუ მთაწერობა უკანვე არ წაიღებს თავის  
პროექტს. ასეთივე გადაწყვეტილება მიუღიათ ზოგი-  
ერთ პროვინციების მეშვესაც. სხვა პროვინციებში  
ესეთივე კითხვაა დასმული გადასაჭრელათ.

X  
დ. დ.

R. S. ეს წერილი უკვე დაწერილი გვექონდა,  
რომ 4 ივლისის პარლამენტის კრებამ შემდეგ მო-  
გვიტანა: მთაწერობამ უკან წაიღო თავისი კანონ-  
პროექტი, პარლამენტმა აიჩინა განსაკუთრებული  
კომისია 15 დეპუტატისაგან. ამათში 10 მემარჯვენეა  
5 მემარცხენე, უკანასკნელთა შორის არის 3 სოცია-  
ლისტი, 2 პროგრესისტი. ამ გვართ მთაწერო-ამ, არამც  
თუ ვერ მოახერხა თავისი პროექტის დაკანონება, მან  
ისიც კი ვერ შეძლო, რომ პარლამენტს მისი პროექტი  
განეხილა. საკმაოა გავიხსენოთ, რომ დღევანდელ ბე-  
ლგიის პარლამენტში 152 დეპუტატიდან ოპოზიციას  
ეკუთვნის მხოლოდ 40 (ამათში 28 სოციალისტი, 12  
პროგრესისტი). დანარჩენები შეადგენენ მთაწერო-  
ბის პარტიას. უკანასკნელმა, რომ თავიდან აეცილე  
ბინა ოპოზიციის ეგრეთ წოდებული ობსტრუქცია,  
უკვე განიზრახა შეეტანა კონსტიტუციაში ისეთი  
წესდება, რომლის ძალითაც გარეთ გაიყვანდნ ყვე-  
ლა იმ დეპუტატს, ვინც კი ხელს შეუშლიდა პარ-  
ლამენტის სხდომების ნორმალურ მიმდინარეობას.  
თუ ეს განზრახვა განზრახვათვე დარჩა, ეს იმიტომ  
რომ სამინისტრომ თავისი პროექტი უკვე არხივში  
ჩადვა და მით აიცილა ობსტრუქცია.

X  
დ. დ.

პარიუსელი.



\* \*

უფო, ითხოვლე შვებიას,  
გონებზე ცამდე ამ:ლდეი,  
გმძნობზე, გაწს ცუცსლი მოინთე,  
მით განსხეტაკედი, განახლდე!  
გუფო, იძვეკე ძდეიკათ,  
გაწს ნისლი შექმდეცადლე  
ღ შენც, სუწვილო, მოცოცსლდე  
ღ დროს საფეკათ იცვალე!..

უისვთ ქტუფო აწსებზე,  
გაწდექმენ ნაშეწკაწათა!  
დაიწვი, მხოლოთ წყედადში  
კი შეაშუქე ძაწათა!..  
დაიწ, დაიწვი, წომ შენ ფეკოფას  
ძაღლით ცა აეფეარებდეს,  
უწავილი გუნდრუგს უწამეკდეს,  
ზეფიწი დასტრიალებდეს!  
ღამით სმა-ტეკილი მგოწანი  
თაგზე დასტეკნდეს, ჭსაწობდეს:  
აკეთილი კაწის ქეკენათა  
ფეკოფლიც აწ ქქკება აწოდეს!..“  
დ. თომაშვილი.

# ე გ რ ო ნ ი ს


ძველი და ახალი მეურნეობა.

მტენარეულობის ცვლის სისტემა. შრომის განაწილება.

## III.

(შემაჯობი)

რაკი მემამულე მიწის კერძო მესაკუთრე გახდა,  
მიწის ერთ წეს-რიგზე მომუშავეების მაიძულებელი  
აღათი (Fluizwang) მოიხსო, საერთო ტყე და საძო-  
ვარი განაწილდა, ყველა ამის შემდეგ მეურნეს აღარა-  
ფერი არ ატანდა ძალას, რომ შინაური საქონელი  
საძოვარზე ეძოვებია. წარმოების უმაღლეს წესს უკვე  
მიეცა ტენნიკური პირობები იმიტ, რომ საქონლის  
სხვა და სხვა საკვებ მცენარების თესვა შემოვიდა  
ხმარებაში, რომლებიც უფრო მეტი საქონლის სარ-



ჩოს იძლეოდნენ ვინემ საძოვარი მიწა. თუ რომ ამ საძოვარს სახნავ-სათეს მიწათ აქცევდნენ და საქონლის საკვებ ბალახს ამ მიწაზე დათესდნენ, საქონელს კი ზაფხულობითაც, საძოვარზე გაშვების ნაცვლათ, თავლაში დაბამდნენ და იქ მისცემდნენ საკვებს, ამ წესით ბევრათ მეტი საქონლის ყოლა შეიძლებოდა და ხორბლეულობის მოსაყვანათ დანიშნული ადგილიც სრულებით არ შემცირდებოდა. პირ იქით, საქონლის საკვების თესვა და თვით საქონლის თავლაში ყოლა იმდენათ მომგებიანი და სასარგებლო აღმოჩნდა, რომ სახნავ-სათესათ გადაქცეულ საძოვარის მთლათ საქონლის საკვებათ დათესვაც არ სჭირდებოდათ. საქმარისი იყო ამისთვის აღნიშნული მიწის მხოლოდ ერთი ნაწილი მოეხმარათ და უფრო მრავალი საქონლის ყოლა მაინც შესაძლებელი იქნებოდა. საძოვარიდან მონარჩენი მიწაც ხორბლეულობის მოსაყვან სახნავ-სათესს მიემატებოდა.

ამ სახით ხორბლეულობის მოსაყვანათ მოსახმარებელი მიწა მეტათ გადიდდა. რომერის გამოანგარიშებით სამ-მინდროვან სისტემის დროს სახნავ-სათესი მიწის მხოლოდ 20 პროცენტის მოხმარება შეიძლებოდა პურის დასათესათ. ხოლო მცენარეულობის ცვლისა და საქონლის თავლაში კვების სისტემაში ტიუნენის ანგარიშით სახნავ-სათესი მიწის 55 — 60 პროცენტის მოხმარება შეიძლება ხორბლეულობის მოსაყვანათ.

ამავე დროს გამრავლებული საქონელი მეტ ნაკელს და მიწის დასამუშაველათ მეტ სამუშაო ძალას იძლეოდა. და მართა ამის გამოც მიწის მომუშავება უკეთ უნდა მომხდარიყო. არა თუ ხორბლეულობის მოსაყვანათ დანიშნული მიწა გადიდდა, არამედ მიწის ერთმა განსაზღვრული სიერცის მოსაყვალმაც ხსენებული ცვლილებების გამო იმატა. სტატისტიკის ჩვენებით პურის შუათანა მოსაყვალთ თითო ჰექტარზე საფრანგეთში შემდეგი იყო:

1816—1820 წ. წ.	10,22	ჰექტოლიტრა
1821—1830 „	11,90	„
1831—1840 „	12,77	„
1841—1850 „	13,68	„
1851—1860 „	13,99	„
1861—1870 „	14,28	„
1871—1880 „	14,60	„
1881—1890 „	15,65	„
1891—1895 „	15,83	„

მაგრამ წარმოების ურთიერთობათა შეცვლის მოქმედება ამაზე არ შეჩერებულა.

მას შემდეგ, რაც მიწაზე სრული კერძო საკუთრება დამკვიდრდა, მემამულეს აღარაფერი არ აძულებდა, რომ იმ მიწაზე, რომელიც საქონლის საკვებათ დანიშნული არ იყო, უეჭველათ ხორბლეულობა ეთესა. მას შეეძლო ისეთი მცენარეები მოეყვანა, რომლებსაც

ბაზარი თხოულობდა და რომლებს მომუშავება მას სამ-მინდროვანი სისტემის დროს ან სრულიად არ შეეძლო, ან და თუ შეეძლო, — მხოლოდ თავის ეზოში და არა სხვაგან; ეს მცენარეები იყო ან ადამიანის საკვები, მაგალ. კარტოფილი და ჩენჩოიანი ნაყოფის მცენარეულობა, ან და სავაჭრო მცენარეები, როგორც მაგალ. ჭარხალი, კანაფი, თუთუნი, საღებავი მცენარეები და სხვ.

ამასთან გამოცდილებამ დაანახვა ადამიანს, რომ ს მცენარეები, თუ ერთი ერთმანეთის შემდეგ დათესილი იქნება და დრო გამოშვებით ხორბლეულობა და საქონლის საკვები ბალახიც დაითესება, ყველა ერთნაირათ არ ასუსტებს მიწას და თუ ამ მცენარების თესვა ერთი მეორეზე რაციონალური რიგრიგობით მიყოლებული იქნება, მიწის მოსაყვალთ ძალიან გაიზრდება. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი მცენარეები, როგორც ხორბლეულობა, ზეთის სახდელი და სართავი მცენარეულობა მიწის უფრო ზევითა პირს-აქლის ნოყიერებას; ზოგი სხვა გვარი მცენარეები კიდევ, პირ იქით, ზოგენ ნიადაგს, აუქვობებსენ კიდევ; რადგან დიდ ჩრდილს აყენებენ და ღვარძლის გაზრდა-გამრავლებას ხელს უშლიან, ფესვებს მიწაში ღრმათ იკიდებენ და ამიტომ ნიადაგის ქვევითა ნაწილსაც ადამიანის სასარგებლოთ ჰხდიან, ამასთან თვით ნიადაგსაც აუხვიერებენ; და ბოლოს ზოგი (ონჯა, ჩენჩოებიანი ნაყოფის მცენარეულობა) თვის საზრდო აზოტს ჰაერიდან ღებულობს, ერთათ აგროვეებს და ამით ნიადაგს აუქვობებსენ.

მცენარეულობის ცვლის სარგებლიანობა უკვე რომაელებმა იცოდნენ, მაგრამ ამ წესის სისტემატიურათ ხმარებაში შემოღება მხოლოდ გაწული საუკუნის ნახევარში მოხდა ინგლისში, საადნაც გერმანიაში და საფრანგეთშიაც გავრცელდა. საზოგადო მოვლენათ ეს სისტემა მხოლოდ ამ ჩენს საუკუნეში გახდა.

მცენარეულობის ცვლის სისტემა წარმოების მეტათ მრავალ კომბინაციებს ჰხდის შესაძლებელათ, რომ ამით წარმოება ბაზრის პირობებთან იყოს შეთანხმებული. და ამ კომბინაციის რაოდენობა იმდენათვე იზრდებოდა, რამდენათაც მიმოსვლა ვითარდებოდა და მეცნარეული გამოკვლევა ახალი-ახალ, ევროპული მეურნეობისთვის უცნობ მცენარეებს აჩენდა. ე. ჰექეს სიტყვით შუაგულ ევროპის მეურნეობამ ამ წესის განმავლობაში ასა სხვა და სხვა გვარი ახალი მცენარეულობის კულტურა შემოიღო.

რამდენათაც მცენარეულობის ცვლის ეკონომია განვითარდა, იმდენათვე იმატა შრომის, განაწილებამ სხვ. ზსხვა სამეურნეო წარმოებათა შორის. სამ-მინდროვანი ეკონომია გლეხების და ბატონის საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისკენ იყო მიმართული,

ამიტომ ამ სისტემით ეკონომიას შუაგულ ევროპაში ყველგან ერთნაირი ელ-ფერი ჰქონდა. თითოეული სოფელი, თითოეული გლეხი ჩვეულებრივ ერთსა და იმავეს აწარმოებდა, იმის მიუხედავად, თუ რა ნაირიც უნდა ყოფილიყო მიწის თვისება და მდგომარეობა, ახლა კი საბაზრო წარმოება დაიწყო, მაშასადამე, კონკურენციაც წარმოადგა. მაშინ ყოველი მეურნე იმას უნდა ცდილიყო, ისეთი ნაწარმოებები ეწარმოებინა, რომლებსაც მიწის თვისება—მდებარეობის, გზების მდგომარეობის, საკუთარი კაპიტალის და მამულის სიდიდის და სხვ. მიხედვით უფრო იყვანა მოიწუშაებდა. ამიტომ მეურნეობაში განსხვავებული სპეციალური დარგები განვითარდა; ზოგი დარგი უფრო ხვნა-თესვაზე დამყარდა, ზოგი საქონლის მოშენებაზე, ზოგიც კიდეც ბოსტნეულობის და ღვინის მოყვანაზე. მხენელ-მთესველნი და საქონლის მომშენებელნი კიდეც მრავალ სპეციალურ მეურნეობათ დაიყვნენ. საქონლის მომშენებელთაგან ზოგმა რძის წარმოება დაიწყო, ზოგმა სასუქ საქონლის გამრავლებას მიჰყო ხელი, ზოგმა კიდეც მოზარდი საქონლის ყოლა დაიწყო ხელობათ და სხვა და სხვა.

შრომის განაწილება განსაკუთრებით ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში განვითარებული. „საქონლის მოშენების ერთ სპეციალურ დარგს ინგლისში კიდეც უფრო ანაწილებენ, მაგ. ასეთი დანაწილება ხდება რძის წარმოებაში, საცა ახლათ გასაყიდ რძის წარმოებას კარაქისა და ყველის დასამზადებელ რძის წარმოებისაგან აცალკევებენ. ყოველი განსხვავებული მიზნისთვის სხვა და სხვა ჯიშის საქონელია ამორჩეული და ამ სხვა და სხვა გვარი საქონლის მოვლა-მოშენებაც სულ სხვა და სხვა გვართ ხდება... მეურნეობაში შრომის მეტათ განაწილების კლასიკურ მხარეთ ჩრდილო-ამერიკა უნდა იქნეს აღიარებული“. (Backhaus, „Die Arbeitsteilung in der Landwirtschaft“, conradsehe jahrbwcher 1894 წ. გვ. 341).

თუ ერთი მხრით მეურნეობის სხვა და სხვა წარმოებათა შორის შრომის განაწილება ასე შორს წაიდა, მეორე მხრით ასეთი შრომის განაწილება თვით თითოეულ წარმოებაშიც განვითარდა.

ვეოდალურ მეურნეობაში მსხვილ წარმოებას წერილ წარმოებაზე მაინცა და მაინც დიდი უაღრესობა არ ჰქონდა. მსხვილი წარმოებისთვის საჭირო სამუშაო ძალა მაშინ ბატონს გლეხებისაგან მისდიოდა. გლეხები ბატონს საკუთარი იარაღებით, ურმებით, საქონლით, გუთნით და სხ. უმუშაებდნენ მისთვის, აქ მსხვილი წარმოება წერილ წარმოებაზე უკეთ მოწყობილი არ იყო. პირიქით, ბატონის მისაზრდე გლეხები უგულოთ და უხალისოთ მუშაობდნენ, მათ მიწის გაუმჯობესების დარდი არ ჰქონდათ, ერთათ

ერთი ცდა მათი ის იყო, რომ ბატონის სახეობა მუშაობა როგორც თაყიდან მოეცილებიათ. სამაგიეროთ ისინი საკუთარ მიწაზე უფრო გულ მოდგინენ და ბეჯითნი იყვნენ.

მხოლოდ თანავედროვე მეურნეობაში, საცა მეურნე, როგორც მსხვილ ისე წერილ წარმოებაში, საკუთარი იარაღებით, საკუთარი საქონლით და მუშებით აწარმოებს, შესაძლებელი გახდა, რომ მსხვილ წარმოებაში ამ შრომის განაწილება იმ ზომამდის განვითარებულიყო, რა ზომამდისაც ამის შესრულება გლეხის წერილ წარმოებაში არ შეიძლებოდა.

მეურნეობის სხვა და სხვა წარმოებათა შორის და აგრეთვე თვით თითოეულ წარმოებაში შრომის ასე განაწილებამ მეტათ გააუმჯობესა მუშა, იარაღი, თესლი და სხვა და სხვა ჯიშის საქონელი, მაგრამ ამით მეურნე უფრო დამაკიდებელიც შეიქნა შუამავალ ვაჭრისაგან.

ახლა გლეხი, არა თუ როგორც მრეწველი, არამედ როგორც მეურნე ყველაფერს, რაც მას ეჭირება, თვითონ აღარ აწარმოებს. ახლა მან, არა თუ უფრო ძვირფასი იარაღები უნდა შეიძინოს, არამედ თავისი სარჩოს ერთი ნაწილიც უნდა იყიდოს, რადგან მისი გასპეციალებული წარმოება მას საკმაო სარჩოს აღარ აძლევს. სახელდობრ შრომის განაწილების განვითარებასთან ერთათ მრავლდება რიცხვი ისეთ მეურნეთა, განსაკუთრებით წერილ მეურნეთა, რომლებიც პურის მოყვანას ხელს უშევენ და ამნაირათ იძულებული ხდებიან, ხორბალი თუ ფქვილი იყიდონ ხოლმე. ხშირათ მათ სათესლეც არ მოჰყავთ, მსხვილ საქონელსაც არ აშენებენ. სათესლის დასამზადებლათ გასაუმჯობესებლათ და სხვა-და-სხვა ჯიშის საქონლის გასაშენებლათ განკრძოვებული წარმოებანი ჩნდებიან, და მეურნეც აქ ყიდულობს, რაც მის მოთხოვნისთვის საუკეთესოთ შეესაბამება. მეორე მხრით მეურნე ჰყიდის ისეთ საქონელს, სახელდობრ, როცა ეს საქონელი მისთვის გამოუსადევი ხდება, მაგალითათ რძის წარმოებაში ძროხები, როცა ესენი საკმარის რძეს აღარ იძლევიან, ან ჰყიდის ისეთ საქონელს, რომელმაც წარმოებაში ამა თუ იმ მიზნის შესაფერ სტადიას მიაღწია; ასეთი შემთხვევა მოხდება მაგალ. ისეთ წარმოებაში, როცა ახლგაზდა საქონელს აშენებენ და, მაშასადამე, როცა ეს საქონელი იმდენათ გაიზდება, რომ მუშაობისთვის გამოსაყენებელი ან რძის მომცემი შეიქნება, უნდა გაჰყიდონ ხოლმე. რაც უფრო წარმოება სპეციალდება და წარმოებაში საქონელი ამა თუ იმ სახით არის მხოლოდ სარგებლობის მიმტანი, მით უფრო სწრაფათ ხდება ფულის გადატრიალება. მაგრამ ამასთანავე, მათ უფრო ვითარდება აგრეთვე შუამავალური ვაჭრობა და წერილი გლეხი უფ-

რო დამოკიდებული ხდება ამ ეპიკრობისაგან, რადგან იგი ბაზრის მდგომარეობას ვერ ითვალისწინებს და ამიტომ ხშირათ იძულებულ მდგომარეობაში ვარდება. ეს გარემოება მეტათ მდიდარი წყარო ხდება გლეხების გაყვლეფა—მოტყუილებისა.

საზოგადოთ მეურნეობის დამოკიდებულება ეპიკრობისაგან მთ უფრო მატულობს, რამდენააც ვითარდება მიმოსვლის მოწყობილება, რამდენათაც კაპიტალის აკუმულაცია ცვლის და ავითარებს მიმოსვლის საშუალებათა მდგომარეობას.

ეს ცვლილება, რომელსაც ქალაქის კაპიტალი ახდენს, აღიღებს მეურნის დამოკიდებულებას ბაზრისაგან, მაგრამ იგივე ცვლილება ცვლის აგრეთვე მისთვის (მეურნისათვის) საბაზრო ურთიერთობასაც. წარმოებრ ერთი რომელიმე დარგი, რომელიც მომგებიანი იყო, სანამ ერთადერთი შარა გზა მახლობელ ბაზარს, მსოფლიო ბაზარს უერთებდა, წასაგები ხდება და მის ადგილას წარმოების სხვა დარგი უნდა აღორძინდეს. როცა ამ არე მარეში რკინის გზა გაიყვლის, რომელსაც, მაგალითათ უფრო იაფი პური შემოაქვს და ამიტომ ხორბლეულობის მოყვანას იგი ხელსაყრელათ აღარა ჰხდის, ხოლო იმავე დროს კარს უხსნის რძის გასაღებას. მიმოსვლის განვითარებას შემოაქვს სოფელში ახალ ახალი ან განვითარებული კულტურული მცენარეები, ის შესაძლებლათ ჰხდის საშენი საქონლის მეტათ შორი ქვეყნებიდან შემოყვანასაც. ინგლის საშენი საქონელი დღეს დამიწის ყველა კუთხეებში იგზავნება. თუ რამდენათ განშორებულია პირუტყვების შორს მანძილზე გზავნა, ამას ნათლათ გვიჩვენებს შემოყვანილ პირუტყვებზე დადებული ბაჭები და აგრარიების ყვირილი ამ ბაჭების კიდევ უფრო გაღიღებაზე, თუმცა პირუტყვი მარტო დასაკლავათ როდი შემოჰყავთ, არამედ მეურნეულ მზნის ვისაც, როგორც მაგალითად, სასუქი პირუტყვი, მწველელი საქონელი, ცხენები და სხვ.

მაგრამ ცვლილების პროცესა მეურნეობაში განსაკუთრებით მაშინ გაიზარდა, როცა თანამედროვე ბუნების მეცნიერების, მეხანკის, ქიმიის, ძენარეთა და ცხოველთა ფიზიოლოგიის აღმოჩენანი იქნა იქ გადატანილი.

ფ. მატკაშვილი.




### ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა თ ი ა .

(საქმაწვილო მოთხოვნანი კვატორნი) გაბაშვილის (98 წ.)

ჩვენი საქმაწვილო ლიტერატურა იმდენათ დარბობია საერთოთ და კერძოთ ხეირიანი ნაწარმოებით, რომ ყოველი ნაბიჯი ამ ნაკლის შესავსებათ გადადგმული თანავრძობის ღირსი და სიმპატიურია, მით უმეტეს, თუ ეს ახალი წვეილი საფესბით აკმაყოფილებს საღ-პედაგოგიურ მოთხოვნილებას. ჩვენი სურვილია ასეთი თვალსაჩინო განძი საქმაწვილო ლიტერატურისა, როგორიც ქ. ეკატერინე გაბაშვილის მოთხოვრება, არ დარჩეს უყურადღებოთ ქართველ მშობელთაგან, ამისთვის განვიზრახვით აღვნიშნოთ,

როგორც კარგი, ისე ცუდი მხარეები წიგნაკისა; ეს ერთი მხრით მშობელს აღუძრავს სურვილს წიგნის გაცნობისას და მეორე მხრით თვით მწერალ ქალსაც აგრძნობიებს, თუ რაში მდგომარეობს მისი ძალი, მაღლიანობა, განამტკიცებს მასში ამ ღირსებებს და ააცდენს შეცდომებს.

პირველი ღირსება ეკატერინე გაბაშვილის მოთხოვრებისა იმაში მდგომარეობს, რომ, თითქმის ორიოდ მოთხოვრებას გარდა ყველა დანარჩენების შინაარსა აღებულისა ნამდვილ რეალურ ცხოვრებიდან, თითოეული მომქმედი პირი ღვიძლი შეილია ჩვენი ცხოვრებისა, ყველა ისინი, უმეტეს შემთხვევაში, უნახავს პატარა მკითხველს, ხშირათ შეხვედრია იმათ ვინაობას, დაუფიქრებია. ამ მოთხოვრებში ფანტასტიურ—უტოპიური არაფერია. ავილოთ, მაგალითათ, პირველი მოთხოვრება: „ღეთის შეილი“. ერთი გმირთაგანი ამ მოთხოვრებისა ქალაქელი ვაჭარი დარჩია. „დარჩო მარტირუხიანი სხვა-და-სხვა ეპიკრობას ეკიდება, მაგრამ როგორღაც ბედი ხელს არ უმართავს, და იმისი საქმეები ძრიელ უგვაროდ მიდის.“ სხვა გვარ შრომის შეუჩვეველი მარტირუხას საქმე ცუდათ იყო, რომ ერთ უბრალო გარემოებას ხელი არ შეეწყო: სოფელ წაბლოვაში, ბერიკანთსა ის შენიშნაეს ბრმა ლექსოს და გადაწყვეტს იმითი ისარგებლოს ბაზარზე გაიტანოს ისე, როგორც აქამდის ფართლეულობა გაჰქანდა. ითქვა-ასრულდა. დარჩოს მოჰყავს ბრმა ლექსო ქალაქში, აძლევს ხელში თარს და დილიდან საღამომდის ჩაჰყვირის ყურებში სომხურ ბაიათებს და რუსულ-ქართულ სიმღერებს. რამდენსამე დღეს შემდეგ მარტირუხას შეილი გიქუა გაუძღვება ბრმა ლექსოს წინ და დაჰყავს ის კარიდან კარზე. „შევიდოდენ თუ არა გიქუა და ლექსო რომელსამე ეხოში, ჯერ იმას შეიტყობდენ იქ რა ხალხი ცხოვრებდა და მერე იმ ენაზე მომართავდა ლექსო თავის ჩანგსა.“ ეს ხერხი—პატრიოტული სიმის შენება—ოროდღე გროშის დაციცვლისთვის ჰქონდა, რასაკვირველია, მარტირუხას მოგონილი. ან კიდევ, ავილოთ მეორე მოთხოვრება—„მაგდანას ლურჯა“. მაგდანა ძლიერ ახლოგაზდა ქვრივია. მისი სილარიბე ენით გამოუთქმელია: ერთათერთი ძროხა, რომელიც „ამის ბალანებს ზაფხულში ლუქმას უსველებდა,“ ქმრის დამარხვას მოუნდა; ოთხი წერილ—შეილი კი სარჩენი ჰყავს. ამ საშინელ მდგომარეობიდან მაგდანა ისევ ქალაქს გამოჰყავს—აქ პოულობს ის ბაზარს თავის შრომისას. ერთი კვირის ქვრივი მაწვნის ქილებით და რძის კოკით იჯდა „იარმუკის, თავში და ელოდა მეუშტარს (რძეს მაგდანა თავის, მწვობლებისაგან უიღულობდა). ყველასათვის ცხადია, თუ რამდენათ სამძიმოა ქართველ ქალისთვის და მერე ისიც ახლოგაზდა ქვრივისთვის ასე აშკარა გაშლილ მოედანზე ჯდომა და გამეღვლეგამომეღვლეთა მოწვევა საყიდლათ, მაგრამ შეუფერებელი და შეუსაბამო აქ არაფერია—გაჰკირვებამ ძველებური ტრადიცია დარღვია, და ქალაქმა სოფელი დაიხლოვა. ასეთვე ცხოვრებას ცოდნა და დაკვირება გამოსტვივს ქნ ეკატერინეს მესამე მოთხოვრებაში „მშიერადის ოჯახი.“ სიმონა მშიერაძე და მისი ცოლი მა-



რთა აგერ სამი წელიწადია, რაც თფილისში ჩამოსახლდნენ. აუტანელმა სოფლის პარობებმა: მოუსახლობამ, უგზო-უკვლობამ, ფულის საქირობებამ, ათასმა გადასახადმა და სხვამ აძულა ცოლ-ქმარი წერილი შეიღებოთ მოშორებოდნენ იმ ადგილს, საცა თავისი ტყბილი თუ მწარე სიყმაწვილე განვლეს, საცა ამდენი ტანჯვის ოფლი ჩაღვარეს; დატოვეს მოყვარე, ნათესავი და მირონი; მოშორდნენ თავის ეკლესიას და მამა პაპათა საფლავს და შეეკედლნენ ისევ ქალაქს, რომლის ფოლადის ფათე რათითებს (Шупальцы), როგორც ერთი უცხო მწერალი ამბობს, არა ერთი და ორი ამგვარი ოჯახი მიუზიდნია თავისკენ. „სეიჰონა დილიდან საღამომდის შეშის მოედანზე დგას და ისე არ დაღამდება, დღეში მანეთი არ იშოვოს, მართა კი სარეცხზე დადის, პურს უცხობს მეზობლებს, და როცა გარეთ საქმე არა აქვს, შინ საბაზროთ წინდებსა ქსოვს...

ამ მოთხრობებზე განძრავს შეეჩერდით, რადგან გვინდოდა დაგვენახებოდა მკითხველისათვის, თუ რამდენათ კარგათ შეგნებული აქვს მწერალ ქალს დღევანდელი ცხოვრების მიდრეკილება. ვისთვისაც უნდა წერდნენ მოთხრობას, საყმაწვილო იყოს იგი თუ საღიღო, მისი ტემა უთუოთ ნამდვილ ცხოვრებიდან უნდა იყოს აღებული, მისი შინაარსი ისტორიულ კანონებს უნდა ეთანხმებოდეს. მაშინ ექნება მას გავლენა მკითხველზე, მალოთ მაშინ დატოვებს მის გონებაში ღრმასა და სასარგებლო კვალს.

მეორე ღირსება ეკატერინე გაბაშვილისა მდგომარეობს აზრის მოკლეთ გამოთქმაში, სხვა-და-სხვა გრძობათა ერთის კალმის მოსმით გამოხატვაში. ავიღოთ, მაგალითათ, ის სცენა, როცა მაგდანას „სუდიელემა“ სახეღარი დაუბრუნეს, და განარებული ქერივი სახლში დაბრუნდა, „მზე ჩავიდა და აგერ გზის პირას გამოჩნდა მაგდანას შავი თავშალი, კიდევ ერთი წამი და მაგდანა წელში გაშლილი მიწ მოაღიძინა, თოკით ხელში ლურჯას წინ მოუძლოდა და თავის მოწმებით გარს შემოხვეული მოუახლოვდა სოფელს. სახეღარის დაბრუნება მაგდანასათვის მიღიანების პონაა, ოჯახის ფეხზე დაყენება, ეს მისთვის გამოუთქმელი ბედნიერებაა, სასწაულია, აგვარს ის თავის შავ—ბნელ ცხოვრებაში მეტს ვერა რას განიცდის. და აი ზღვა სიხარულისა მწერალმა ოთხი სიტყვით გამოხატა. სხვა ამ გრძობის გადმოცემას, ამ სცენის აღწერას ერთ თაბასს ქალაღდს მოანდომებდა, ამასაც არ იკმარებდა, ჩვენდა დასარწმუნებლათ ხატსა და ჯვარზე დაგეიფიკავდა. ამგვარი ადგილები ურიცხვია წიგნაკში, მაგრამ უადგილობის გამო, ჩვენდა სამწუხაროთ ვერ ამოვწერთ მათ. ეს ღირსება მწერალ ქალს შეძლებას აძლევს ადვილათ და ერთბაშათ ვაიგოს და შეითვისოს აზრი და განიცადოს სხვა-და-სხვა გრძობანი, ხალისიან საკითხავათ ხდის მოთხრობას და არ დაღაფს ყურადღებას ყმაწვილისას.

მესამე ღირსება მდგომარეობს ვნის სიპარტივეში. ენა—აზრის ტანთ საცმელია, იღვის გარეგანი ფორმა და სწორეთ ამ ტანთსაცმელს, ამ გარეგან ფორმას დიდი ალავი უქირავს ნაწერის კეთილ ნა-

ყოფიერებაში. მწერალს შეუძლია ერთი რომელიმე აზრი ან იდეა ისე მკაფიოთ, მდაბიურათ, გასაგებ ენით გამოხატოს, იმგვარათ შეაფერაღოს, რომ რაც უნდა მაღალი იყოს ის აზრი, იდეა, ყველასათვის გასაგებათ განადოს. რაც უნდა ძნელი იყოს—გადვილოს; ან არა და, პირ-იქით, მეტის-მეტ ნათელ აზრს, ადვილათ გასაგებ იღვიღოს, ისე დააბნელებს, ბურუსში გახვევს ვნის წყალობით, რომ სრულიად შეუძლებელ ჰყოფს მის მოწელებას. ან ეთქვათ რომელიმე საგნ-ს თუ მოვლენის აღწერა უნდა მწერალს. ერთი ვნის წყალობით ისე ხელოვნურათ დაასურათებს საგანს, ისეთი სიცხოვლით გადმოგცემთ მოვლენას, რომ საგნებით გენატებათ თვალ წინ აღწერაღა საგანი, თუ მოვლენა. ასეთ მაღლიან მწერალს ეკუთვნის ქი ეკატერინე გაბაშვილისა. გული არ გვითმენს ერთი მაგალითი მაინც არ მოვიყვანოთ ამ მწერალ ქალის ვნის სიპარტივისა. აი როგორ ვენახავს ეკატერინე გაბაშვილისა კაკლის ხეს დიდი ქარი შხალის დროს. „... მაგრამ ჩვენი კაკალი მე მომეტებულათ მაშინ მომწონდა, მაშინ შეეცქეროდი გაკვირვებით, როდესაც დიდი ქარი ჰქროდა, როდესაც ქარიშხალი აბორებდა, აშუოთებდა, აბრძოლებდა ამ უიმისოდ ხეების წყნარს და ამაყს მეფეს, მაშინ იმისი მძლავრი ტოტები ზღვის ტალღებისაგან მოქანავე ხომალდს ემგასვებოდა, მასავით გადადიოდ გადმოდიოდა, შუოდა, ხმაურობდა, ერთმანეთს ეხლებოდა, იბრძოდა და იმტყრეოდა. მე იმდროს, წახვეული თბილათ რაშიმე, ამოვეკროდი მის მძლავრ, განიერ ფესოს და ვისმენდი დაუსრულებლივ ამ შუოთისაგან გამონმობილ ჰანგებსა“.

ამნარათ, ერთი მხრით ნამდვილ რეალურ ცხოვრებიდან აღებული ტემა, რის წყალობითაც ყმაწვილი თავიდანვე ეცნობა ჩვენ ცხოვრებას, იძენს ჰემ-მარიტ კოდნას და დაფარულია ყოველისავე უტოპიურ-ფანტატიურისაგან; მეორე მხრით აზრის მოკლეთ გამოთქმა, სხვა-და-სხვა გრძობათა ერთი კალმის მოსმით გამოხატვა, და მესამე მხრით ვნის სიპარტივე რაც აფუძნებს ყმაწვილის გონებაში ნამდვილ და მართალ წარმოდგენას საგანზე, აჩვენებს ჰემ-მარიტს აზროვნებას და ათვისებინებს ვნას, ვნის საიდუმლოებას, ერთის სიტყვით, სულს ვნისას, ამდიდრებს ლექსიკონს ყმაწვილისას და სხვა. ნებას გვაძლევს გაბედვით მიუთითოთ მშობელს ამ სასარგებლო წიგნაკზე.

ზემო ნათქვამი, დამახასიათებელი ღირსებანი ამ მწერალ ქალისა, თავიდან ბოლომდის ყველა მის მოთხრობებში წითელ ზოლივით არის გატარებული, ცალ ცალკე-კე თითოეული პაწაწინა ამბავი ისე მდიდარია შინაარსით, ისეთი ნამდვილი ტიპებია შიგ გამოყვანილი, რომ გიკვირს: ასე პატარა პარკში როგორ მოახერხა მწერალმა ამდენი ოქროს შენახვა! „ოჯახ-ს ბურჯში“ მაგალითათ, ცავეტი წლის დათა ნუ-თუ საუცხოვოთ დახატული ტიპი არ არის? ან რამდენ სასარგებლო მასალას აძლევს მკითხველს დათას და იღ კვას შესადარებლათ! ერთი მხრით სიცოცხლით და გაბედულობით საფე გლე-

ხის ცამეტა წლის ბიჭი, რომელიც მთელ ოჯახს ატრიალებს: ის არის მხენელი, მთესველი, მომკალი და შემნახელი, სტუმრის მიძღები და მურას პასუხის გაძევი. გლეხის უმაღლო ცხოვრებამ ძალიან ადრე გამოიყვანა ის ცხოვრების ასპარეზზე, დააბრძენა და გააკაჟა. მეორე მხრით ანტონას სათუთათ გაზლილი შვილი, რომელსაც არა თუ ოჯახის რჩენა არ შეუძლია, წვიმისაც კი ეშინა.

ყვილა ამ ღირსებათა შორის ჩვენ ერთი ნაკლებ-ლეიანება შევიმჩნიეთ: ზოგიერთი მოთხრობები, როგორც მაკალითათ „ღეთის შვილი“, „თამროს შეხვედრა“ და ორიოდ სხვა, დაუსრულებელია. მართალია ყველა ამ მოთხრობებში იდეა სავსებით გამოხატულია, მაგრამ ზოგიერთი მომქმედა პირის ისტორია, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაუმთავრებელია. პირველი მოთხრობის გმირის ბრმა ლექსოს ბიძა ჩამოდის ქალაქში თავისი მძიმე ავთმყოფი ძმის წულის წასაყვანათ, და სწორეთ იქ თავდება კიდევ მოთხრობა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთელი სიმპატია ყმაწვილისა ამ მოთხრობის კითხვის დროს ბრმა ლექსოს მხარეზეა. ბევრს ყველაფერი ავიწყდება გარშემო და მთელი თავისი ყურადღება იმაზე აქვს მიქცეული, თუ რითი გათავდება ამ საცოდავი ლექსოს ტანჯვა-ვაება; თ-თონ ის ლექსოს ადვილას დავება, მის როლს თამაშობს და მთელი თავისი მგრძობიარე ბუნებით განიცდის ყველა იმ ვაი-ვაკლანს, რაც ლექსოს გადახდა. რაღა თქმა უნდა ამ გვარ პირობებში ჩაყენებულ პატარა მკითხველს სურვილი ექნება გავოს თავისი გმირის ბოლო; ეს პირდაპირი მისი სულიერი მოთხოვნაა და ამის წართმევა — მკაცრი სასჯელია მისთვის. მართლაც და რა დავმართა ლექსოს, რითი დაასრულა თავისი ტანჯვით სავსე სიცოცხლე? დასრულა ბიძამ დანაპირები, თუ არა? წაიყვანა სოფელში, თუ იქვე, ცივ სარდაფში, ამოხდა სული ავთმყოფს? ან თუ წაიყვანა, მოაცოცხლა თუ არა სამშობლოს ჰაერმა? ყველა ეს კითხვები ძალია უნებურათ ებადება პატარა მკითხველს, და მწერალმა უსათუთო პასუხი უნდა მისცეს. თუ გონდ სამწუხარო იყოს ბოლო გმირისა, ეს სულ ერთია, ყოველ შემთხვევაში ბავშვის ცნობის მოყვარეობა, თავისი კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილება ეჭირება.

გ. წ--ძე.

მცირე შენიშვნა.

ზანკთი „კვალს“ მე-22 ნომერში შროვიზორი ბ. ილ. აღსანიშნავი არჩევს დოქტორ შანტიუხოვის წიგნს: „(1) народномъ врачевани въ закавказскомъ краѣ“. დოქტორს ერთობ სამართლიანათ უჩვენებს ბევრ შეცდომას ტერმინოლოგიის მხრით და ბოლოს გულნატკენათ და დაბეჭდილებით უხევედურებს, როგორც ქართულ ექიმებს, აგრეთვე ქართველ ფარმაცევტებსაც... გვითქვამს წიგნიდან კი უკეთ — ამბობს ბ. აღსანიშნავი, რომ ყველა ამბი ე. ი. ქართული წამლების ტერმინოლოგიის გადასხმის უკეთესი — გადაურჩეულათ მეცნიერებისთვის

მიწოდებაში, ჩვენი ქართველი დოქტორები და ფარმაცევტები არიან დამნაშავეო. რასაკვირველია ბ. შროვიზორი, რომ სწორეთ სამსახროთ და საყოველთაო გავსდია ქართული წამლების ტერმინოლოგიის იმას თავისი ენის უცოდინარობით ვისც „სოლინჯი, სოლინჯინი“ Carim Bulcoastaim Koch, Сулисъ Джана, „душа мая“-თ უთარგმნა; ამას შემდეგ იქვე უნდა ვიკითხოთ, რომ ვინმე სხვა შანტიუხოვი „სოლინჯინს“ კახურ ლენოთაც თარგმნის, მაგრამ, ჩვენ ქვემოთ ამის სელის მოძიერების აზრით, ქართველი ფარმაცევტები ამბი იოტის ოდნით დამნაშავე არ იქნებიან, თუ ჩვენ სამართლიანათ და მიუდგომელათ გამოვიკვლიოთ თანამედროვე მეცნიერების მიხედვით და მის ურყუარ სასწორზე აქვინ-დაქვინავთ საზოგადოთ თანამედროვე ფარმაცევტების დღევანდელ მდგომარეობას.

ჩვენი ექიმების შესახებ ჩვენც გოუნხმებით, მატეკეძელს შროვიზორი, რომ ისინი სწორეთ არავითარ უურადლებას არ აქვებენ, (იქნება აქვეყნ უურადლებას „ზოგ-ზოგები, მაგრამ არ არის გამოქვეყნებული და ამის გამო ჩვენც არ ვიცით) რომ ჩვენი ქვეყნის მეცნიერები, თუ საღებური წამლებს, შეისწავლენ, ტერმინოლოგიის შექმნა და ისე მიწოდენ მეცნიერებს. სწორეთ მინავთ ამ მხრით, მაგრამ არ შეგვიძლია დავთავსებოთ კერათ ფარმაცევტების შესახებ: 1) რადგანაც ისინი, საზოგადოთ ისეთ შირობებში არ არიან, როგორც შირკენი; 2) არც იმდენი თავისუფლება აქვთ, თანამედროვე ცხოვრების მეხსებით, რომ შეისწავლენ ისეთი სეროზული საგნებს, როგორც ქიმიას, თუ ბოტანიკას, (როგორც წესია), არამედ უბრალო დღიური გასეთის გადათვადიერებას არ შეუძლიათ, თუ ასე ითქმის.

მატეკეძელს შროვიზორს კარგათ მოესხენება თუ რა გაჭინებულ მდგომარეობაშია ფარმაცევტები საზოგადოთ და ქართველები კერათ: 1) ეს რომ მას კარგათ გათვალისწინება, მაშინ ბრალს ჩვენ არ დავკვებდებ, რომ დოქტორმა შანტიუხოვს თავისი ქართული ენა — ტერმინოლოგიის უცოდინარობით მეცნიერებს ტაკიმა-მასხრული ტერმინები მიწოდა ქართული საღებური ექიმობისა და წამლებისა. ამასე ჩვენ გვგონია მატეკეძელი შროვიზორი დავკეთანხმება...

შეტეხურდი. X ზ. ჩინუა.

შეცდომის განმარტება.

წინა ნომერში პირველ გვერდზე შეცდომით არის ნაჩვენები № 27 4 იელისი, უნდა იყოს: № 28 11 იელისი.

1) იქნება მატეკეძელს შროვიზორს არ ეჭანინოს ასეთი ბუნდოვანათ, ფარმაცევტების ყოფილმდგომარეობის შესახებ, გამოთქმული აზრი, იმ შემთხვევაში შემდეგისთვის უფრო კრცლათ მოვასხენებთ.

დოქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.